საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 24 იანვარი, 2013 წელი.

№14 (7141)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ილია მეორემ პუტინს ივანიშვილის მოკითხვა გადასცა

მოსკოვში მყოფი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შეხვდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, შეხვედრა ნოვო-ოგარევოს საპრეზიდენტო რეზიდენციაში გაიმართა. შეხვედრაზე ილია მეორემ პუტინს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მოკითხვა გადასცა.

„მინდა, გადმოგცეთ ჩვენი ახალი პრემიერ-მინისტრის მოკითხვა. ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება მოხდეს. ვფიქრობ, ყველა პრობლემა, რომელიც ჩვენს შორის არის, მოგვარდება და ჩვენ ადრინდელივით მოძმეები ვიქნებით“, — ბრძანა მისმა უწმინდესობამ.

* * *

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მადლობა გადაუხადა იმ წვლილისთვის, რომელიც მას რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების აღდგენაში შეაქვს, - ამის შესახებ რუსული მედია წერს.

მათივე ინფორმაციით, ილია მეორის და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა მოსკოვში, ნოვო-ოგარევოს საპრეზიდენტო რეზიდენციაში გაიმართა, რომელსაც სრულიად მოსკოვისა და რუსეთის პატრიარქი კირილიც ესწრებოდა.

„განსაკუთრებული მადლობა კი მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ თქვენ, დღევანდელ მძიმე პირობებში, მხედველობაში მაქვს არც თუ ისე იოლი ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, ყველაფერს აკეთებთ, რათა ხელი შეუწყოთ ჰუმანიტარული, კულტურული და სულიერი კონტაქტების შენარჩუნებას მოძმე ერებს შორის“, — მიმართა პუტინმა ილია მეორეს.

რუსეთის პრეზიდენტმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაბადებიდან 80 და ინტრონიზაციიდან 35 წლის იუბილე მიულოცა, ასევე, მიულოცა მართლმადიდებელი ერთობის ფონდის პრემიის მინიჭება.

* * *

რუსეთის პატრიარქმა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ალექსანდრე ნეველის წმინდა ნაწილები გადმოსცა.

— საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისადმი ჩემი სიყვარულის ნიშნად, მინდა, გადავცე წმინდა ალექსანდრე ნეველის ნაწილები, — განაცხადა კირილმა მოსკოვში, უსპენსკის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან ერთად ჩატარებული წირვის შემდეგ.

თავის მხრივ, ილია მეორემ რუსეთის პატრიარქს ივერიის ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს ხატები უსახსოვრა.

და მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა



5

25 იანვარს ედუარდ შევარდნაძეს 85 წელი უსრულდება

როგორც ოსტაპ ბენდერმა ვასიუკი, ისე დააბოლა მიშამ ქუთაისი!

3

2. ხალხიც დაპურდეს, ქვეყანამაც იხეიროს!

6

სანამ ამღვრეული წყალი დაიწმინდებოდეს,

„კადრები“ ყველაფერს კადრულობენ...

4

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ინფორმაცია

ბიძინა ივანიშვილი დავოსში

საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით დავოსში გაემგზავრა, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურში განაცხადეს.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, საპარტნიორო ფონდისა და საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა სესიაზე — „ახალი გამოწვევა ცენტრალური აზიისთვის“, სადაც იგი, სხვა მომხსენებლებთან ერთად, ენერგოსექტორის უპირატესობებზე, ეკონომიკური ზრდის პოტენციალსა და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის გამოწვევებზე ისაუბრებს.

ბიძინა ივანიშვილი დავოსში რამდენიმე ქვეყნის პირველ პირთან ორმხრივ შეხვედრას გამართავს, ასევე, დაგეგმილია მოლაპარაკებები მსოფლიოში წამყვანი კომპანიების ხელმძღვანელებთან.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პროფესორ კლაუს შვაბისა და ჰილდე შვაბის მიერ ორგანიზებულ კერძო მიღებასა და სადილს დაესწრება.

◎ რიტორიკული კითხვები

ჩვენ კი მივუშვებთ ნებასა, მაგრამ რომ შეგვყრის სნებასა?!

— ეს რა იკადრაო, კაცო! სულ რომ გვიმტკიცებდა, საზღვარგარეთ არასოდეს არ ვიტყვი ცუდს ჩემს ქვეყანაზეო, სინამდვილეში როგორი დესტრუქციული, ანტისახელმწიფოებრივი და დამბეზღებელური იყო სტრასბურგში მისი გამოსვლაო! — ისე ქოთქოთებდა ხალხი, თითქოს პირველად ეთქვას ტყუილი სააკაშვილს, პირველად გაეტეხოს სიტყვა, პირველად გაეწბილებინოს მისი პირმტკიცობის მოსურნე-მომლოდინე ნეტარი მორწმუნენი.

...ახლახან ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: **„ერთი ინიციატივა მაქვს — საერთოდ დავანებოთ თავი სააკაშვილს, მივუშვათ ნებაზე და თქვენ ნახავთ, ცოტა ხანში ისეთ რამეებს ჩაიდენს, თავად დააჩქარებს თავის გადადგომას“.**

კი, ბატონო, ჩვენ კი მივუშვებთ ნებასა, მაგრამ რომ შეგვყრის სნებასა?!

ერთიც კია, ნაღდად იცის ბატონმა ედუარდმა, ამ ბრძენკაცმა, რასაც ამბობს — **იმდენჯერ და ისე ღრმად შეტოპავს ნებას მიშვებული სააკაშვილი ტყუილ-სიბინძურის მორევში, იქიდან გამოცურვა გაუჭირდება.**

და თანაც, მაშინ უფრო და უკეთ დაინახავს ყველა, შინაურიც და უცხოელიც, რომ „მეფე შიშველია!“

მაგრამ, ბატონო ედუარდ, ისე მივუშვათ ნებაზე, რომ ღირსი სახელიც არ დავარქვათ?

პოეტმაც ხომ გვითხრა, ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქოო?

თუმცა, თავის დროზე, ძალიან დიდი ხნის წინათ, ხომ დაარქვა კოლექტიურმა „ნათლიამ“ — ხალხმა სახელი იმას, ვინც უნდა მიუშვა ნებას, რათა თვით შეეყაროს სნებას?

მაშ რა საჭიროა ზედმეტი კონკრეტიკა?

ბიჭო, ვისი ხარ, ნიკოლოზ?

ისეთი რუზრუზი და გნიასი ატყდა მასმედიაში — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე თანამდებობიდან გადადგაო — თითქოს, ეს არის და, ცის თაღის დამჭერი სვეტი ჩამოინგრაო.

— აიო, ახალი ხელისუფლების არასწორი და მავნებლური პოლიტიკა-კურსის გამო გადადგა ეს ნიჭიერი ჩინოვნიკიო! — აყაყანდნენ ცალკეული განაცმოძრაობელები თუ მათი თანამოაზრენი.

გუშინწინ სალამოს, როგორც იქნა, თავად ნიკოლოზ ვაშაკიძეც გამოჩნდა ტელეეკრანზე და ისეთივე სიმართლე თქვა, როგორი მართალიც მისი დანარჩენი ნაუბარი იყო — **ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური მომხრე არ ვყოფილვარო!**

ისემც ცხვირი დაუმშვენდეს ამის მთქმელს — **განაცმოძრაობის წევრი თუ არა, მისი აშკარა მხარდამჭერი მაინც თუ არ იქნებოდა მავანი, მას არამცთუ ამხელა თანამდებობაზე, არამედ მერიის დამლაგებლადაც რომ არ დანიშნავდნენ, ეს ბავშვმაც იცოდა და იცის.**

მაშ როგორ დავუჯეროთ ნიკოლოზს, რომელიც, **ვიდრე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდებოდა, მანამდე ამავე სამინისტროში პირველ მოადგილედაც მუშაობდა და უფრო მანამდეც თავდაცვის მინისტრის მოადგილეც იყო?**

„პრეკრატი, ბიჭო, ნიკოლოზ, პრეკრატი“ ტყუილები და სრული სიმართლე თქვი!

ის სიმართლე, რომელიც იცის პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელმაც განაცხადა კიდეც ცისფერი ეკრანიდან, ნიკოლოზ ვაშაკიძემ თავისი გადადგომის ნამდვილი მიზეზი თქვასო, და იცი შენც!

ისე, ნიკოლოზ, თბილისი პატარა ქალაქია და, ამის გამო, ხალას სიმართლესაც ისე იოლად გებულობს ხალხი, თითქოს იმავე ცისფერი ეკრანის კადრებს უყურებდეს!

შემთხვევით გამოტყდი თუ ჭირმა თავი მართლაც არ დამალა, კაკი?

გუშინწინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული შეხვედრიდან პროტესტის ნიშნად გაიქცა კაკი ბობოხიძე — ზაქარია ქუცნაშვილს უთქვამს, ეს საკონსტიტუციო შესწორება იმისთვის გვინდა, რომ გიჟს წავართვათ ასანთი, რომლითაც, შესაძლოა, სახლი ანუ სახელმწიფო დაწვასო.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ყველამ თავის გიჟს მიხედოსო! — შეძლებისდაგვარად თავშეკავებულად მრისხანებდა „როკი მარჩიანო“ კაკი.

ყველასთვის გასაგები იყო, ვის „ბოსტანშიც“ და ვისი მისამართითაც ისროდა „კენჭს“ მორიდებული კაკი.

მაგრამ პირადად ჩემთვის ერთი რამ დარჩა გაუგებარი, რის „გაიასნებასაც“ ისევ კაკისგან ვეცდები: **შემთხვევით გამოტყდი თუ ჭირმა თავი მართლაც არ დამალა, კაკი?**

ანუ, როდესაც თქვი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ყველამ თავის გიჟს მიხედოსო, ეს იმისი აღიარების ტოლფასი ხომ არ იყო, — **მე კი ვიცი, რა შავ დღეშიც ვარ, მაგრამ არც თქვენ გადგათ კარგი დღეო?**

თუ ასეა, უნდა გაგაწბილო, კაკი — **ის „მეორე“, შენ რომ „კენჭი“ ესროლე, გიჟი რომ არ არის, მთელმა დუნიამ იცის!**

ანუ ხელად დარჩა მარტო „პირველი“!

ამდენად, იმ „მეორეს“ შენმა „კენჭმა“ ვერა ავნო, შენ კი გავნო, გავნო, გავნო, როგორც ეს თავის დროზე ერთმა ენაკვიმატმა კაცმა უთხრა ამის ღირს ადრესატს.

რუსლან რუსია

◎ საბოტაჟი

მონოპოლიას არ თმობენ!

გველს ან თავი უნდა გაუჭეჭყო, ან ხერხემალში გადატეხო, თუ დახრჩობას გიპირებს

საძარცველოში ნავთობპროდუქტების შემოტანის სფეროში მონოპოლია კვლავ ისეთი კომპანიების ხელშია, რომელნიც წინა ხელისუფლების დროს ზეობდნენ და ხალხის გაყვლეფის ხარჯზე მილიონებს იჯიბავდნენ. ახლა მათი ქმედება საბოტაჟის სახეს იღებს და ყოველნაირად ხელს უშლის ახალი მთავრობის მცდელობას, შეასრულოს ის წინასაარჩევნო დაპირებები, რომელთაც ხალხი დღემდე ელოდება.

ამის მაგალითად ფოთის პორტში მოკალათებული ერთადერთი კომპანიის **„არგო ტრანს ჯორჯიის“** საქმიანობაც კმარა.

როგორც გუშინ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კომპანია **„არგოს ტრანს ჯორჯია“** უარს ამბობს, ხელშეკრულება გაუფორმოს ფირმას, რომელსაც ფოთის პორტში ნავთობპროდუქტები შემოაქვს.

— ფოთის პორტში სააკაშვილის ხელისუფლების მიერ იყო ხელდასხმული ერთი ჯგუფი, რომელიც ახდენდა ნავთობპროდუქტების შერჩევით მიღებას. დღეს ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ზუსტად იგივე ჯგუფი ზის ფოთის პორტში და ანალოგიურად შერჩევით იღებს გადაწყვეტილებას — რომელი ტანკერი მიიღოს და რომელი არა. იყო სიტუაცია, როდესაც კონკრეტული სქემა და მექანიზმი გადავიდა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლის მფარველობის ქვეშ. მინდა, დავიჯერო, რომ ასე არ არის და საქმე გვაქვს ინფორმაციის არქონასთან და დღევანდელმა ხელისუფლებამ არ იცის, რა ხდება ფოთის პორტში და რომ იგივე ჯგუფი, რომელიც დავით კეზერაშვილის მხრიდან იყო შემოყვანილი, აგრძელებს ოპერირებას, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

პრესკონფერენციას ესწრებოდა ნავთობის შემომტანი კომპანიების **„ნიუ სერვისისა“ და „ბი ენ ჯი ჯგუფის“** იურისტი, ქალბატონი თეკლა სურგულაძე. მისი თქმით, არჩევნების შემდეგ ხელშეკრულება გააფორმეს „არგო ტრანს ჯორჯიასთან“ და ამ კომპანიამ მათი ერთი ტანკერი მიიღო კიდეც. ხელშეკრულება გასული წლის ბოლომდე იყო გაფორმებული. ახალი ხელშეკრულების გაფორმებას კი კომპანია აჭიანურებს, რაც ხელს უშლის ფოთის პორტში ნავთობით დატვირთული ტანკერების შემოსვლას. „არგო ტრანს ჯორჯია“ მათ ნავთობის სომხეთში ტრანზიტის საშუალებასაც არ აძლევს და ხელშეკრულების გაფორმებაზე უარს აბსურდული მიზეზებით ეუბნება.

რაც შეეხება კომპანია „არგო ტრანს ჯორჯიას“, იგი ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული და მისი დირექტორია რუსეთის მოქალაქე, ვინმე სერგეი გრომოვი.

საქმე ეხება 2800 ტონა საწვავის მიღებას. ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში შემომტანი კომპანია 3 მილიონამდე ზარალს ნახავს.

როგორც ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, აღნიშნულ კომპანიებს (მხედველობაში აქვს კომპანიები „ბი ენ ჯი ჯგუფი“ და „ნიუ სერვისი“) საწვავი სხვა კომპანიებთან შედარებით დაბალ ფასებში შემოაქვთ და პრობლემებსაც სწორედ ამიტომ უქმნიან.

ვის აწყობს საბოტაჟი? კვალს ისევ ნაცმოძრაობის ბოსებთან მივყავართ, რომლებსაც არა და არ ეთმობათ მილიონების მომტანი კომპანიების სადავეები! ამით სერიოზულ საფრთხეს უქმნიან არამარტო ქვეყნის ეკონომიკას და მოსახლეობას, არამედ უცხოელი ინვესტორების მოზიდვასაც. ისინი მახრჩობელა გველებივით არიან შემოხვეული მათთვის ხელსაყრელ სფეროებს და უნასის მოსაკლავად მისთვის თავის გაჭეჭყვა, ან ხერხემალში გადატეხვაა საჭირო.

იქნებ აღმოსავლური კალენდრის იმედიღა შერჩათ, — გველის წელიწადში გველის წყენინება არ შეიძლებაო, **მაგრამ უკვე დროა, ამ შემთხვევაში ჩვენი, ქართული კალენდრით ვიმოქმედოთ და საბოტაჟის მომწყობთ საკადრისი პასუხი ვაგებინოთ...**

მამუკა ვაშაკიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



როგორც ოსტაპ ბენდერმა ვასიუკი, ისე დააბოლა მიშამ ქუთაისი!

თუმცა ოსტაპ ბენდერი მიშასგან განსხვავებით, კეთილშობილი თაღლითი იყო, მაგრამ ერთი საერთო მაინც აქვს ორ თაღლითს — ოსტაპის მამა თუ „თურქეთის ქვეშერდომი“ იყო, არც მიშიკოს დედაა თურქეთისთვის შორებელი!

ჰოდა, გახსოვთ ალბათ, ქუთაისის ა.წერეთელის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე „გაილექსა“ — მეტი დამაჯერებლობისთვის სტენდიც მოაწყობინა, რომელზეც შლიდა თუ „კრუგავდა“ შესაბამის სიტყვებს, ვითომ კურსორის გარეშე არ შეიძლებოდა იმ სისულელეების ლაპარაკი, რაზეც მოკლედ ერთი რამის თქმა შეიძლება მხოლოდ — გარეკა, მაგრამ რა გარეკა?!

უფრო ვრცლად კი, რამდენიმე „მარგალიტს“ მოვიყვან: რამდენი ხანია, რომ მხოლოდ კარტოფილი (ლობიო დაავიწყდა. — **დ.მ.**) აღარ არის თქვენი ძირითადი საკვები? ბოლოს როდის დაიძინეთ პალტოთი გაყინულ ბინაში, ჩემამდე გაზი და შუქი რომ არ გქონდათ (მაშ მტყუანის? — **დ.მ.**), ხომ გახსოვთ?

და თავმდაბლობის ნასახის გარეშე — ეს ყველაფერი დიახაც მე და ჩემმა ნაციონალურმა მოძრაობამ გავაკეთეთო!

იქვე მოაყოლა — არ იქნება პარლამენტი ქუთაისში, არ იქნება დიდი საერთაშორისო აეროპორტიც, რომელიც არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ევროპის უდიდესი (სიტყვასიტყვით ასე სთქვა. — **დ.მ.**) აეროპორტი უნდა ყოფილიყო და ამის მაგივრად, როგორც ადრე, მხოლოდ 2 რეისი იქნება ქუთაისიდან მოსკოვსა და კიევში და აღარც 5-ვარსკვლავიანი ცათამბჯენი სასტუმროები აშენდებაო. რა თქმა უნდა, არც ლაზიკის ხსენება დავიწყებია და ბოლოს რეზიუმე — ეს ყველაფერი, ქუთაისის მკვდრად გამოცხადების ქრონიკაა!..

რა ვთქვი ახალი, ბატონებო? რა, მსგავსი სისულელეები ადრეც არ მოგვისმენია? საკვირველი ის არის, რომ ეს აშკარა მიშა, კიდევ ახერხებს წამორეული დემაგოგიური სისულელეების მორჩილად ამტანი აუდიტორიის პოვნას — იმდენ ახალგაზრდებში (!!!), რატომ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ადგებოდა და პირდაპირ ეთერში, შიგ პირში მიახლიდა საკაშვილს იმას, რასაც ის და მისი სისხლისმსმელი „კამარილია“ იმსახურებენ?

აი, კითხვა, რომელზეც პასუხი ვერ მიპოვნია — ახლა რისიღა გეშინიათ, შვილებო, რისიღა? თუ არ გეშინიათ და ოსტაპ ბენდერის კარიკატურის ბჟუტურის გჯერათ, მთლად უარესი...

გასულ პარასკევ ღამეს ტელევიზორი, შემთხვევით გადავრთე ე,წ, საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხზე და, ჩემდა სამწუხაროდ, დავრწმუნდი, რომ ვასიუკი-ქუთაისის პარალელი სულაც არ არის უსაფუძვლო!

საკონსტიტუციო ცვლილებებზე სახალხო განხილვის სრულად ნახვისას ცხადი გახდა, რომ ქუთაისური აუდიტორიის აბსოლუტური უმრავლესობა, ერთი ერთში იმეორებდა პრეზიდენტის და მისი მომხრეების დემაგოგიურ არგუმენტებს პარლამენტის ქუთაისში დატოვების სასარგებლოდ!

თუმცა აქა-იქ ისტორიული, მართლაც წონიანი არგუმენტებიც გაისმოდა პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნების სასარგებლოდ, გორგასლით დაწყებული და დავით აღმაშენებელით დამთავრებული, მაგრამ რად გინდა, ამ ყველაფერს — აქანე რა, ხალხი არ ვართ, ყველაფერი თბილისში უნდა იყოს, საერთოდ სეით მივდივართ აგი ვერ გევიგე ახალი მთავრობის! ამაზე, არ მახსოვს ვინ, მაგრამ ერთმა დეპუტატმა ენამოსწრებულად კი უპასუხა, **მაგი კი ვიცით, საით მივდივართ, მაგრამ საიდან მოვდივართ, ნურც ამას დავივიწყებთო. და მართლაც, მსგავსი განხილვები კი არა, საკუთარ სახლში ჩურჩულით თუ ბედავდნენ ლაპარაკს ისინი, ვინც დღეს ყველაზე ხმამაღლა ყვირიან და ეს ფაშისტური რეჟიმი 1 ოქტომბერს დაამთავრა ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილთან ერთად თუ პირიქით!**

და ყველაზე მთავარი ისტორიული არგუმენტი, რომელიც ვერ, ან სავარაუდოდ უფრო არ გახსენებიათ: პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანით, მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო ჩვენი ისტორიულად მოძმე ერის სომხების, ჩვენდამი მტრულად განწყობილი მცირე, მაგრამ მაინც გავლენიანი, ე.წ. „დიდი სომხეთის“ ბოდვითი იდეებით მეოცნებე ნაწილის საუკუნოვანი იმ ნატვრის განხორციელება, რასაც თბილისიდან ქუთაისში საქართველოს დედაქალაქის გადატანა ჰქვია და პარლამენტის ქუთაისში გადატანა ამ გეგმის განხორციელების პირველი ეტაპია!!!

სხვათა შორის მსგავსი ზრახვების გამო, როგორც ამბობენ, საკუთარი ხელით გაუხვრიტა შუბლი პირსისსლიანმა ლავრენტი ბერიამ სომხეთის მაშინდელ ცეკას მდივანს...

ჰოდა, იქნებ ამეებზეც გვეფიქრა და არა ის მაგალითები მოეყვანათ იმ დღეს ქუთაისში, რომ დედაქალაქების გადატანგადმოტანა თურმე ევროპაშიც მომხდარა — თვალი დაუდგა ევროპას, როგორც შერეკილი ხუტა ოდიშელიძე იტყოდა. მით უმეტეს, ყაზახეთის მაგალითი არ გამოგვადგება, რადგანაც ალმა-ატიდან 2000 (!!!) კილომეტრში, რუსეთის საზღვართან ახლოს, მანამდე აუთვისებელ უდაბნოში იმიტომ ააშენეს ახალი დედაქალაქი ასტანა, რომ მომავალში რუსეთის იმპერიის შესაძლო ექსპანსიური მადა გაკონტროლონ!

პარლამენტის ქუთაისში გადატანას, ზემოთ ხსენებულ შორს მიმავალ გლობალურ მიზნებთან ერთად, ერთი პატარა პრაგმატული მიზეზიც ჰქონდა — ივანიშვილის გამოჩენამდე ნაცები რეგიონებში ყველაფერს ტოტალურად აკონტროლებდნენ. ერთადერთი, ისიც მსუბუქი „თავის ტკივილი“ მიშასთვის მხოლოდ დედაქალაქში, პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო აქციები იყო, რომელთაც მართალია, ოპოზიციისთვის რეალური შედეგი არასოდეს მოუტანია, მაგრამ პარლამენტის ქუთაისში გადატანით, თბილისმოძულე მიშამ, არა მხოლოდ მცირე დისკომფორტიც გამორიცხა, არამედ საერთოდ ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური პროცესი ჩაკლა!

ჯერ ახლა რა არის და ხომ წარმოგიდგენიათ, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს რეგიონებში, როგორი შტილი იქნებოდა და პირიქით, ნაცებს რომ ვერ მოესწროთ და პარლამენტი ისევ თბილისში ყოფილიყო, ისეთ ზეწოლას მოახდენდა თბილისი, სირცხვილის კორიდორებს, პერმანენტულად ისეთ დისკომფორტს მოუწყობდნენ კვერცხების თანხლებით, რომ დღეს ნაცებიდან ერთი-ორ წევრსღა თუ დათვლიდით პარლამენტში!

ქუთაისში კი, პირველ დღეებში თუ იყო სირცხვილის მცირე კორიდორები და ისიც პრაქტიკულად უქუთათურებოდ, ძირითადად ისევ თბილისიდან დესანტირებული ძალებით!

თუ არა და იქნება ვინმემ მითხრას იმ ხალხისგან, ვინც იმ დღეს ქუთაისში ყველაზე მეტს ხმაურობდა, რა გაუპროტესტებიათ ივანიშვილამდე ქუთაისში, იქნება მემორიალის აფეთქება, რამაც უდანაშაულო დედაშვილის სიცოცხლე შეიწირა, სადაც აშენდა ის პარლამენტი, რომლის დატოვებასაც ითხოვენ? თუ დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანას შეუშალეს ხელი? თუ ბაგრატის „რეკონსტრუქციას“ და ა.შ. ამ მხრივ, ანუ შედეგის თვალსაზრისით არც თბილისელებს გვაქვს სატრაბახოდ საქმე, მაგრამ დედაქალაქში სააკაშვილის შემაწუხებლად მაინც ვხმაურობდით და ამას სულაც არ ვამბობ ქუთაისელებისთვის ნიშნის მოსაგებად, რადგანაც კარგად ვიცი, თუ რა წნეხის ქვეშაც იყვნენ რეგიონებში. მაგრამ დალოცვილო, დღეს ხომ აღარ არის ის წნეხი და სააკაშვილის, მისი ნაცბანდის დაკრულის უნისონში რატომღა მღერი?

ნუთუ ცოტაა ის, რომ დაჭერის, მით უმეტეს ცოცხების შიში აღარ გვაქვს და ცოტაც მოვითმინოთ, ცოტაც ვაცალოთ ამ კაცს, ვისაც ხმა მივეცით და მთელი საქართველოს, მით უმეტეს ქუთაისის ეკონომიკური განვითარება, პარლამენტის გარეშეც მოხერხდება! თუ არადა, პარლამენტის თბილისში დაბრუნება იმადაც არის საჭირო, რომ დაპირებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცხვირიდან ძმარი ვადინოთ „ქართულ ოცნებას“ — ახლა არავინ მითხრას, რომ დედაქალაქზე უფრო მძლავრად გააპროტესტებს რომელიმე რეგიონი, თუ კი ამის აუცილებლობა დადგა...

თუ მხოლოდ პარლამენტის შენობაა განვითარების საწინდარი, მაშინ სხვებმა რა დააშავეს? შევდგათ ის შენობა ბორბლებზე და მთელს ქვეყანაში გავაგორ-გამოვაგოროთ...

სერიოზულად კი, კიდევ ერთი სახიფათო რამ გამოჩნდა ზემოთ ხსენებულ განხილვაზე — ქუთაისისა და თბილისის დაპირისპირება ჯერ თუ ბოლომდე ვერ მოახერხეს ნაცებმა, ამის პირველი სიმპტომები უკვე გამოჩნდა და ჩვენი ავადმყოფი პრეზიდენტი, რომ ამ მიმართებით ესკალაციაზე წამსვლელია, ალბათ, არავის ეპარება ეჭვი და იქნებ ამაზეც დაფიქრდნენ ჩვენი ქუთათური ძმები?!

იმერეთის დედაქალაქისგან განსხვავებით, სამეგრელოში სწორად დასვეს აქცენტები და ზუგდიდში თეატრალიზებული გასვენებაც მოუწყვეს მიშა საკაშვილს და უეჭველად, არც მომავალში მისცემენ მშვიდად ცხოვრების საშუალებას! აქედან გამომდინარე კი, თუ სააკაშვილს მართლაც ჰქონდა ზუგდიდში გადაბარგების განზრახვა, სავარაუდოდ ქუთაისის ვარიანტის სასარგებლოდ გადაწყდება ეს ამბავი, რადგანაც ვასიუკის სატყუარაზე წამოგებული ხალხის სახით, მიშამ თავისთვისაც მოულოდნელად გაიჩინა მხარდამჭერები ქუთაისში!

ამას დაუმატეთ ბაგრატის „განახლებული“ ტაძარი და ქუთათელი მეუფე კალისტრატე, რომელსაც წმინდა ხატების გვერდით უწმინდური „მიხეილ აღმაშენებლის“ ხატებაც უკიდია და, რომ იტყვიან, გიტარასავით აიწყობს და მოიწყობს ქუთაისში ცხოვრებას ჩვენი მიშმაკი...

უმორჩილესად ვთხოვ ჩვენს ქუთაისელ ძმებსა და დებს, ნათესავ-მეგობრებს, ნებსით თუ უნებლიედ ნუ გახდებიან ამ არსების ხელისშემწყობები, რომელიც მისი პრეზიდენტობის შემდეგ, უმადური ქართველი ხალხის გასამწარებლად, რომ შეიძლოს ქვას ქვაზე არ დატოვებდა!

მოდით ჩავთვალოთ, რომ ზემოთ არაფერი გვითქვამს, მაგრამ ნუთუ თავად ის ფაქტი, რომ მიშას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით აშენდა ქუთაისის პარლამენტი, თავისთავად არ ნიშნავს, რომ ეს ახირება ქვეყნის საზიანოა?

თუ არა და იქნება ვინმემ დამისახელოს რა გააკეთა ამ არსებამ გასული 9 წლის მანძილზე ქვეყნის სასიკეთო?

გზები, შუქი და გაზი არ მიხსენოთ...

დავით მხეიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერობა შეუწყდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერის მოვალეობა შეუწყდა. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ბრძანება ალასანიასთვის საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შესახებ მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად საქართველოს მთავრობის წევრს, ირაკლი ალასანიას შეუწყდეს საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება, — ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის ბრძანებაში.

რაც შეეხება მუხლს, რომელიც პრემიერ-მინისტრის ბრძანებაშია მოყვანილი, ამ მუხლის მიხედვით, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია:

1. მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე წევრს — ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

2. პირველი ვიცე-პრემიერი ასრულებს პრემიერ-მინისტრის მოვალეობას მისი არყოფნისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, აგრეთვე მის ცალკეულ დავალებებს.

3. ვიცე-პრემიერი (ვიცე-პრემიერები) აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას კოორდინაციას უწევს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დადგენილ სახელმწიფო მმართველობის განსაზღვრულ სფეროში.

4. ვიცე-პრემიერების რაოდენობას საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი.

5. პირველ ვიცე-პრემიერსა და ვიცე-პრემიერს (ვიცე-პრემიერებს) მოვალეობები ეკისრებათ პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, რომლის შესახებაც მთავრობის წევრებს ეცნობებათ მისი გამოცემიდან ხუთი დღის ვადაში. ამავე ბრძანებით განისაზღვრება პირველი ვიცე-პრემიერისა და ვიცე-პრემიერის (ვიცე-პრემიერების) ფუნქციები.

საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით პრემიერთან მძიმე საუბარი გვქონდა

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან რამდენიმე დღის წინ მძიმე საუბარი გვქონდა. ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „აქცენტებში“ სტუმრობისას თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.

მისი თქმით, პრემიერს ჰქონდა გარკვეული შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს განხილვა ხდებოდა მასთან შეუთანხმებლად. — მე ვეთანხმები მას, რომ ეს საკითხი უნდა იყოს კოალიციასთან, მის ლიდერთან შეჯერებული. აქედან გამომდინარე, იყო საუბარი ამ თემაზე. მე არ მესიამოვნა, რომ ასეთი უსერხულობის მიზეზი გაჩნდა, — აღნიშნა ალასანიამ.

როგორც თავდაცვის მინისტრი ირწმუნება, ეს არ ნიშნავს კოალიციაში რაიმე დაძაბულობას, არამედ ეს იყო ჯანსაღი დიალოგი ხელმძღვანელსა და მის გუნდს შორის.

— რომ არ გვქონდეს ასეთი ღია საუბრები, ეს იქნებოდა ძალიან ცუდი, — განაცხადა ალასანიამ.

ალასანიამ ისიც აღნიშნა, რომ ახლაც მომხრეა, საქართველოში იყოს ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ძლიერი საპარლამენტო ზედამხედველობით. მისი თქმით, ეს არის ის განსხვავება, რომელიც არის კოალიციაში შემავალ პარტიებთან, კერძოდ, „რესპუბლიკურ პარტიასთან“.

— ჩემი აზრით, ეს უნდა გახდეს საზოგადოების გადასაწყვეტი. შეიძლება ეს საკითხი რეფერენდუმზე ან პლებისციტზე იქნას გამომავლოდ გატანილი. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატს, არ დაგიმალავთ, ჩვენს პარტიაში, „თავისუფალ დემოკრატებში“ გვქონდა პოზიციების გაცვლა, ვაპირებთ თუ არა გვყავდეს ჩვენი კანდიდატი, — დასძინა ალასანიამ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სანამ ამღვრეული წყალი დაიწმინდებოდეს

„კადრები“ ყველაფერს კადრულობენ...

სანამ ამ წერილს წაიკითხავთ, უბრალოდ მინდა გითხრათ, რომ მე, გია გაბრიჭიძე (ამ წერილის ავტორი) 2005 წელს, მაშინ როდესაც ძალიან ბევრს თავზე ვაზელინი ჰქონდა წასმული (და არც დღეს აკლებენ), ტელეკომპანია 202-ში გადაცემა „შმატრულს“ ვაკეთებდი და მულტსერიალ „დარდუბალა 2“-ის სცენარებს ვწერდი. 2010 წლიდან მედიაკავშირ „ობიექტივში“ გადაცემებს ვუძღვებოდი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მაშინდელი მთავრობის და დღევანდელი ე.წ. „ოპოზიციის“ „საქმიანობაზე“ წერილებს ვწერდი.

ამიტომ ყველას, ყველას, ვისაც რაიმე პრეტენზია ექნებათ ამ წერილთან მიმართებაში, ვთხოვ: – მოდით, ნუ იქნებით ბიძინა ივანიშვილზე მეტი „მეოცნებე“ და ნუ იქნებით ჩემზე მეტი „ოპოზიციონერი“.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჯერ რბილად ვიტყვი, რომ ასი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების შედეგად შეიცვალა. არჩევნების, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში „შედარებით“ დემოკრატიულად ჩატარდა და არსებულმა ხელისუფლებამაც ყოველგვარი რევოლუციის, მასობრივი გამოსვლებისა და ექსცესების გარეშე პირველად აღიარა დამარცხება.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული პოლიტიკური ძალები (და განსაკუთრებით მათი ელიტა) სახალხოდ ადასტურებენ საყოველთაო დემოკრატიული პრინციპების მიმართ თავიანთ ერთგულებას (იმ პრინციპებისადმი, ხელისუფლების ყველა რგოლში უმტკივნეულო ჩანაცვლების პროცესს რომ გულისხმობს), მოვლენები მაინც საკმაოდ დაძაბულ ფონზე ვითარდება.

ხელისუფლების გადაბარება უმაღლეს ეშელონებში, ანუ სამინისტროებში ჯერჯერობით მხოლოდ პირველი პირების შეცვლით შემოიფარგლა და ე.წ „შემსრულებელ რგოლებში“ ისევ ძველი მმართველი გუნდის მიერ რეკომენდებული კადრები დარჩნენ.

სიმართლე გითხრათ, ამ ვითარებას ჯერჯერობით აქტიური პროტესტი არ გამოუწვევია, სამაგიეროდ საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია რაიონებში და თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში აჩვენებენ ამა თუ იმ რაიონის პიკეტირებულ გამგეობას. ადგილობრივი ხელმძღვანელების კაბინეტების აჭედილ კარებებს და საშიმშილოდ დამსხდარ მოსახლეობას.

საზოგადოებაში აქტიურად მიმდინარეობს ამ პროცესების განხილვა. გამოითქმება მრავალი და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული წინადადებები თუ მოსაზრებები. საკუთარ პოზიციას გამოხატავენ როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები. შეფასებებს აკეთებენ სხვადასხვა პოლიტიკურ „პლატფორმაზე“ მდგარი ე.წ. ექსპერტები, მაგრამ ეს ყველაფერი ხშირ შემთხვევაში არ სცილდება ტელეეთერებს და რჩება მხოლოდ ამა თუ იმ „აქტიური მოღვაწის“ პიარის ერთ-ერთ საშუალებად.

ბუნებრივია, რომ დაძაბული სიტუაციის გამოყენება და „მღვრიე წყალში თევზის დაჭერის სურვილი“ ბევრ ადამიანს უჩნდება. დაუკმაყოფილებელი ამბიციები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, პოლიტიკური პროცესების „ადუღების“ მცდელობით იწყება და, ბოლოს, „თუ რამე გამოვიდა, ხომ კარგი, თუ არა და რაღაცა მაინც იქნებაში“ გადადის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საკმაოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება ე.წ. „ძველი კადრების“ მიმართ და განაცხადა, რომ ის ხალხი, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია, მიუხედავად თავიანთი ყოფილი პარტიული კუთვნილებისა, თავიანთ თანამდებობებზე დარჩებიან.

მიუხედავად პრემიერ-მინისტრისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების პოზიციისა, რაიონებში მეტად მწვავედ დგას საკადრო ჩანაცვლების პოლიტიკის საკითხი.

ძალიან მწვავედ, რადგანაც წინა ხელისუფლების დროს კიდევ უფრო გამძაფრებული პრობლემების მოგვარების ერთადერთ გზად, მოსახლეობას რადიკალური საკადრო ცვლილებები მიაჩნია.

ბუნებრივია, რომ ბევრ რაიონში მართლაც სერიოზული და მართლაც რადიკალური ცვლილებებია განსახორციელებელი. შესაცვლელია და სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშეა დასაყენებელი მრავალი „მუშაკი“.

სწორედ, ასეთ ფონზე, მიუხედავად ყბადაღებული კოჰაბიტაციისა (თანაარსებობისა), სულაც არ არის გასაკვირი, რომ ტარდება აქციები, ადგილი აქვს ხალხის მღელვარებას და ხშირ შემთხვევაში აღშფოთებისა, თუ საკუთარი პოზიციის არცთუ კორექტულად გამოხატვას.

ასეთ დროს დღევანდელი ოპოზიციის მხრიდან არ არის გამორიცხული „მართული პროვოკაციების“ მოწყობა, რაშიც თუნდაც თბილისში დევნილებისა თუ სოციალურად დაუცველი ადამიანების საპროტესტო აქციების დროს მრავალჯერ დავრწმუნდით.

სამწუხაროდ ამ ვითარებით „სარგებლობენ“ სხვადასხვა „მრავალნაკადი, ათას პარტიაზე გადამხტარი აქტივისტები“ და გამარჯვებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების მანტიას ამოფარებულნი, ცდილობენ თავიანთი სურვილების დაკმაყოფილებას.

ასეთ დროს კი ის უამრავი სოციალური თუ სამეურნეო პრობლემა, რომელიც მოსახლეობის წინაშე დგას, მეორე პლანზე გადადის და მათი რეალიზება მუხრუჭდება.

როგორც აღვნიშნე, ასეთი პროცესები საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მეტ-ნაკლები სიმწვავით მიმდინარეობს.

მაგალითისთვის შეგახსენებთ კასპისა და საგარეჯოს რაიონებს, სადაც ერთმა ახლად დანიშნულმა გამგებელმა თავი „პატარა ბიძინად“ გამოაცხადა და მეორეში კი პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე თურმე თვითონ ნიშნავს თანამდებობებზე არამცთუ ხელმძღვანელ პირებს, რიგით ჩინოვნიკებსაც.

თუ კახეთი „ახალ ხმაში“ საგარეჯოელ ირინა ბაირამაშვილს უჭერდა მხარს, საწინააღმდეგო განწყობა გამოვლინდა ახლად დანიშნულ გამგებელთან მიმართებაში.

„საგარეჯოს მოსახლეობა დეპუტატ თინა ხიდაშელს და რაიონის გამგებელ გიორგი ლოლაძეს აუმხედრდა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წინ „ქართული ოცნების“ აქტივისტები ლოლაძის გადადგომის მოთხოვნით არიან შეკრებილნი. „ოცნების“ წარმომადგენლები გამგებელს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ და თინა ხიდაშელის ლაქიად მოიხსენიებენ. მათი თქმით, ხიდაშელის ფავორიტმა გამგებელმა 3-თვიანი მუშაობის მანძილზე რაიონისთვის ვერაფერი გააკეთა.მეტიც, აქციის მონაწილეთა განცხადებით, ლოლაძე სამსახურში საკადრო ცვლილებებს „ქართული ოცნებისა“ და საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის თინა ხიდაშელის ნებართვის გარეშე ვერ ახორციელებდა“ (http://presa.ge/new/?m=politics&AID=20371).

რამდენად დასაჯერებელია ეს ინფორმაცია, ამაზე მკითხველმა იფიქროს, ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის ფაქტების გადმოცემაა მთავარი.

ასევე რამდენად დასაჯერებელია ის „მოვლენა“, რომ კასპს „პატარა ბიძინა მოევლინა“, ესეც თქვენი გადასაწყვეტია.

ყველაზე „მაგარი“ კი ის არის, რომ „თავზე მრავალჯერ ვაზელინ-წასმული“, „ათას პარტიაზე გადამხტარი“, „მუდმივად მოშიმშილე და ოპოზიციაში“ „მოფუსფუსე“ პოლიტიკანები, რომლებსაც კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ „მღვრიე წყალში გამგებლის პოსტის თუ არა, გამგებლის მოადგილის სკამის დაჭერა მაინც სურთ“, მუდამ „თამაშგარე“ აღმოჩნდებიან და საკუთარი ოჯახის, კარ-მიდამოს და ცოლ-შვილის მიხედვის ნაცვლად, აქცია-აქცია „დახრიგინებენ“, არაფერი გამოუვათ.

„მივედი, ვნახე, მასალა გავაკეთე“!

დიახ, მასალა გავაკეთე.

ამ წერილში არ განვიხილავ ყველა რაიონში განვითარებულ მოვლენებს. არ განვიხილავ, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები ფაქტობრივად ერთნაირია, „ცვლილებების ტალღა“, ყველგან სხვადასხვანაირად მიმდინარეობს.

აბაშის რაიონში პროცესები საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა.

„მას როლანდ ახალაია მესამე შვილს ეძახდა.“ „მილიონ ოთხმოცი ათასი ლარი მიწაში ჩადეს“, „ისევ ნაციონალები მოდიან“ , და მრავალი სხვა ფრაზა, რომლებიც ე.წ. „მოშიმშილეებთან“ შეხვედრის დროს გავიგონე.

სიტყვა „მოშიმშილეები“ ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი და „ე.წ.“ იმიტომ წარვუმძღვარე, რომ ბევრს კარგად გვახსოვს 1989 წლის აპრილი. კარგად გვახსოვს ის ხალხი, ვინც... (აღარ გავაგრძელებ), ამიტომ პროტესტის გამოხატვის ასეთი უკიდურესი ფორმა ამ „პრობლემასთან“ მიმართებაში სასაცილოა.

სასაცილოა ის, რომ „საშიმშილოდ“ ჯერ ქალბატონები დასხდნენ, ერთი კვირის შემდეგ „ოჯახის უფროსებმა“ „ჩაანაცვლეს“. იმათაც „ბოლომდე“ ვერ გაძლეს და მეორე დღეს ოთხ მოშიმშილეს ორი გამოაკლდა. „ჩანაცვლება“ კონსტანტინე კაჭარავამ, ნუგზარ დარცმელიძემ, ანზორ ბარბაქაძემ და დემურ გაბელაიამ „განახორციელეს“, ორი დღის შემდეგ კი, ანზორ ბარბაქაძემ და დემურ გაბელაიამ „ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების“ გამო შიმშილობა შეწყვიტეს.

ყველაზე „საინტერესო“ კი ის იყო, რომ „მეპროტესტეები“ „ქართული ოცნების“ სახელით მოქმედებდნენ (გაიხსენეთ „მე პატარა ბიძინა ვარ“, ოზურგეთში მომხდარი ინციდენტი, „აღელვებული“ ლაგოდეხი და საგარეჯო. კიდევ ჩამოვთვალო თუ ტელევიზიიდანაც იცით?).

აბაშის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე (ისევე როგორც სხვა 74 რაიონის), ძაააალიან ბევრ „ახლადგამოჩეკილ“ „მეურნეს და პოლიტიკურ აქტივისტს“ ჰქონია პრეტენზია.

როგორც აბაშის მუნიციპალიტეტის იურისტმა როლანდ შონიამ, რომელიც „რევოლუციური ძვრების“ მომხრეა, განაცხადა, სარჩელიც შეტანილია და ჩვენს კანდიდატს ვიცე სპიკერი მანანა კობახიძეც უჭერს მხარსო.

სიმართლე გითხრათ, მხარდაჭერის ფორმატი ვერ გავიგე. ვერ გავიგე, რადგანაც არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არა აქვს უფლება წარადგინოს და, მით უმეტეს, ჩაერიოს საკრებულოს მუშაობაში. არა აქვს უფლება რაიმე სახის „რეკომენდაცია გასცეს“ (იხ. საგარეჯოს ამბები), მაგრამ სუფთა „ტექნიკური“ თვალსაზრისით, აბსოლუტურად „გასაგებია“.

მაგალითად მე, გია გაბრიჭიძე მივდივარ რომელიმე ბობოლა დეპუტატთან და ვეუბნები – წინააღმდეგი ხომ არ იქნები, სადმე რაიმეს უფროსად რომ დავინიშნოო. ისიც მეუბნება – მიდი და, თუ ხალხი მხარს დაგიჭერს, საწინააღმდეგო რა უნდა მქონდესო.

ამის შემდეგ მე გამოვდივარ და ვამბობ, რომ მმართველი პარტია მხარს მიჭერს.

ცხადია, არ მნიშნავენ და ჩემი ე.წ. „მომხრეები“ იწყებენ ე.წ. „შიმშილობას“.

როგორია? კაია არა?

კი, მართლა კარგია, მაგრამ შედეგი?

შედეგი კი ერთია. დაპირისპირება, არეულობა და ვიღაც-ვიღაცების წისქვილზე წყლის მიშვება (ალბათ, მიხვდით, რომ „ვიღაც-ვიღაცებში“ „ლევან მაისურაძეებს“ ვგულისხმობ). (აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არც ქალბატონი მანანა კობახიძე და „ქართული ოცნების“ არც ერთი ლიდერი მსგავს მხარდაჭერას არ გამოხატავდა).

პრინციპში არა მარტო „ლევან მაისურაძეებს“. იმ ხალხსაც ვგულისხმობ, ვინც „ვერც ერთ პარტიას ვერ მოერგო“. ვერ მოერგო და ამის გამო უცებ „გაჩნდა“ „ქართული ოცნების“ უამრავი „ფრთა“ (მოდი და ამ დროს გაიგე „ვინ ვისია“).

აბაშაში ერთ-ერთმა ასეთმა „ფრთამ“ მოამზადა სარჩელი, რომლითაც აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 9 იანვრის პირველი განკარგულებისა და აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლად გოჩა ჭანტურიას დანიშვნის თაობაზე, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების ბათილად ცნობას მოითხოვდნენ.

არადა საქართველოს ორგანული კანონის თანახმად გამგებელს ნიშნავს საკრებულო. ასევე არსებობს გამგებლის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების განხილვის პრაქტიკაში დანერგილი წესი, რომლის მიხედვითაც იქმნება საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც განიხილავს კანდიდატთა სამოქმედო პროგრამებს, შეაფასებს მათი კვალიფიკაციის დონეს და ამ პროცედურების გავლის შემდეგ შესაფერის კანდიდატებს წარუდგენს საკრებულოს. აბაშის რაიონშიც კანდიდატთა განხილვა სწორედ ამ წესის მიხედვით მოხდა.

თავდაპირველად წარდგენილი იყო 30-მდე კანდიდატი. პირველი ტურის შემდეგ დარჩა რვა კანდიდატი, რომელთაგანაც რეკომენდაცია სწორედ გოჩა ჭანტურიას მიეცა.

მოკლედ რომ ვთქვა, აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლად გოჩა ჭანტურიას დანიშვნა კანონის სრული დაცვით მოხდა.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სენაკის რაიონულმა სასამართლომ, მოსამართლე ინდირა მაშანეიშვილის თავმჯდომარეობით, არ დააკმაყოფილა სარჩელი საკრებულოს განკარგულების შეჩერებისა და გამგებლის თანამდებობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გოჩა ჭანტურიას დანიშვნის ბრძანების შეჩერებაზე და მოსარჩელეებს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების შეჩერებაზე უარი ეთქვათ.

აქ ბევრს აღარ გავაგრძელებ და პირველ რიგში ვიტყვი, რომ ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით ნოდარ ხადურის უწყება ნამდვილად არ დატოვებს ყურადღების და რეაგირების გარეშე ნებისმიერ საფინანსო დარღვევას და შესაბამის დასკვნასაც გააკეთებს.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ იყო „როლანდ ახალაის მესამე შვილი“, გულზე ხელი დაიდოს ყველა „მეპროტესტემ“ და თქვას, რომ თუნდაც 2004 წელს „როლანდის დაძახილზე“ არ მიეხლებოდნენ.

თავად დავით თოფურია ამ „ბრალდებასთან“ მიმართებაში ყოველგვარი „კეკლუცობის“ გარეშე ამბობს, რომ პიროვნული ნაცნობობა და ის საქმიანი კონტაქტები, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარეს რეგიონის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან ჰქონდა, დანაშაული არ არის და ასეთ „სისულელეებზე პასუხის გაცემას იმ პროექტების განხორციელებით აპირებს, რომელთა რეალიზება პირველ რიგში ადგილობრივების დასაქმებას და მათი სოციალური ფონის გაუმჯობესებას ეხება“.

აბაშაში ჩასული „საქართველოს რესპუბლიკა“ ადგილობრივებსაც გაესაუბრა. რაღა დასამალია და მათი უმრავლესობა ახლად დანიშნულ გოჩა ჭანტურიას უჭერდა მხარს.

აბაშელმა ამომრჩევლებმა მამუკა გოგიამ, ნანა შედანიამ, ვაჟა შუბლაძემ უაზრო პროტესტისა და დროის ფუჭად გადაყრის ნაცვლად, ყველას შრომისკენ და ახალ ხელისუფლებასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ მოუწოდეს.

ის, თუ როგორ გადაიჭრება აბაშის რაიონში არსებული პრობლემები, ის, თუ როგორ შეიცვლება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დიდ წილად ცენტრალურ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. რაიონებში არ უნდა მოხდეს კადრების პარტიული ნიშნით შერჩევა, რადგანაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია ხელძღვანელის კომპეტენცია და არა პოლიტიკური კუთვნილება.

გამოკითხული მოსახლეობის აზრით, აუცილებელია, რომ მათ მიეცეთ ნორმალური მუშაობის საშუალება ხოლო თუ მათი იმედები არ გამართლდა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი და თუ ადგილობრივი ხელისუფლება იგნორირებას გაუკეთებს არსებულ პრობლემებს, მათ პირდაპირ განაცხადეს, რომ „ჯვარი არავიზე არა აქვთ დაწერილი“ და არჩევნებსაც არ დაელოდებიან.

აბაშაში საკითხი დღეს ფაქტობრივად ამოწურულია.

რა მოხდება სხვაგან?

გია გაბრიჭიძე
„საქ. რესპ.“ სპეც. კორ.
აბაშა-თბილისი.

მამია ალაშვილის ფოტო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წარდგინება

და მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა

25 იანვარს ედუარდ შევარდნაძეს 85 წელი უსრულდება

ჩვენ წინაა წიგნი, რომელიც ედუარდ შევარდნაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოსცეს გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციამ და შპს „ნეოსტუდიამ“. წიგნის სახელწოდებაა „და მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა“. მისი ავტორია ე.შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის პერიოდში თეიმურაზ სტეპანოვი-მამალაძე.

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „ფავორიტ პრინტის“ სტამბაში.

ჩვენ გვესაუბრება ვადიმ ანასტასიადი, მთავარი რედაქტორი გაზეთისა „ვეჩერნი ტბილისი“, რომლის ფურცლებზეც პირველად იხილა შუქი თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძის დღიურებმა.

— გვიამბეთ, ბატონო ვადიმ, „ვეჩერნი ტბილისის“ ფურცლებზე თეიმურაზ სტეპანოვის დღიურების გამოჩენის წინა ისტორია.

— დავიწყებ იმით, რომ საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმის დირექტორი თეიმურაზ სტეპანოვი-მამალაძე აღმოჩნდა ერთადერთი ადამიანი საქართველოდან, ურომლისოდაც ყოფნა არ შეეძლო ედუარდ შევარდნაძეს და რომელიც თან წაიყვანა მოსკოვში, როდესაც მიდიოდა ახალ თანამდებობაზე 1985 წელს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ისეთი ბრწყინვალე ჟურნალისტი, როგორიც იყო თემო სტეპანოვი, რომ არ გაუშვებდა ხელიდან შესაძლებლობას აღებეჭდა ყველაზე საინტერესო მოვლენები თავის ახალ სამუშაოზე სსრ კავშირის საგარეოპოლიტიკური უწყების შეფის თანაშემწედ ყოფნის დროს, ეჭვის შეტანა თავიდანვე არ შეიძლებოდა. და თავადაც, როდესაც თბილისში ჩამოდიოდა და მოსკოვში შეხვედრების დროსაც, გვიამბობდა ხოლმე, რომ ოდესმე შეძლებდა გამოექვეყნებინა თავისი ყოველდღიური ჩანაწერები...

მოგვიანებით თემოს და ჩემმა საერთო მეგობარმა იური გავამ, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოს მოსკოვში საქართველოს საელჩოში მუშაობდა, მაცნობა, რომ ადას — თემოს მეუღლის თხოვნით მან თბილისში საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის შევარდნაძისთვის გადასაცემად გამოგზავნა საქაღალდეების უზარმაზარი ოდენობა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მისი მოღვაწეობის დოკუმენტებით. გავამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ დოკუმენტებს შორის სავსებით შესაძლებელია ყოფილიყო თემო სტეპანოვ-მამალაძის ჩანაწერებიც. როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც თავად შევარდნაძემ, თავისი მემუარების წიგნზე „აზრები წარსულსა და მომავალზე“ მუშაობის დროს, მოულოდნელად განაცხადა, რომ წიგნზე მუშაობის დროს არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყენებინა თემოს ყოველდღიური ჩანაწერები, რაც მას ამ მუშაობაში დიდად დაეხმარებოდა...

სტეპანოვ-მამალაძის გარდაცვალების დღიდან გავიდა ათი წელი და მე ვთხოვე ბატონ ედუარდს გამოხმაურებოდა ამ თარიღს — მისმა უახლოესმა თანაშემწემ და სპიჩრაიტერმა ხომ თავისი შემოქმედებითი გზა „ვეჩერნი ტბილისში“ დაიწყო. შევარდნაძემ თეიმურაზზე დაწერა ძალიან თბილი სტატია, რომელიც მე გაზეთის ფურცლებზე დავბეჭდე და, რასაკვირველია, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე მეორე დღესვე გადამეგზავნა ეს წერილი თეიმურაზის ვაჟიშვილისა და მეუღლისთვის, რომლებიც ახლა მოსკოვში ცხოვრობენ. თემოს ვაჟმა გიორგიმ ამისთვის დიდი მადლობა გადამიხადა. ჩვენ შორის გაჩაღდა მიმოწერა, საიდანაც გაირკვა, რომ ის საქაღალდეები დოკუმენტებით, რომლებზეც იური გავა მიამბობდა, შეიცავდა მხოლოდ ოფიციალურ მასალებს ედუარდ შევარდნაძის საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფის პოსტზე, მაშინ როდესაც თავად თემოს დღიურები გიორგის ჰქონდა. რამდენიმე დღის შემდეგ გიორგიმ შემომთავაზა დამეწყო მამამისის დღიურების ბეჭდვა ჩვენს გაზეთში, რაზეც, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით დავთანხმდი...

— რა ახალი რამ გაიგეთ თქვენ პირადად თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძის დღიურების კითხვის დროს?

— უწინარეს ყოვლისა, მე ახალ სიბრტყეში დავინახე დღიურის ჩანაწერების მთავარი მოქმედი პირის — მინისტრ ედუარდ შევარდნაძის პორტრეტი. დიახ, მე მქონდა შესაძლებლობა მედევნებინა მისთვის თვალყური აქ, საქართველოში, ჩავწვდომოდი მის მოქმედებებს მოსკოვსა და საზღვარგარეთ აქედან, თბილისიდან, დიდ მანძილზე, მეკითხა სტატიები მის შესახებ, მესმინა მისი გამოსვლებისთვის, მაგრამ იმან, რაც ნათქვამია თეიმურაზის დღიურებში ამ უთუოდ არაჩვეულებრივ და ნიჭიერ ადამიანზე, მე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ჩემთვის ახალი, დღემდე უცნობი თვისებები და ხასიათები წარმომიჩინა.

რასაკვირველია, დღიურებში მე თავად თემოც დავინახე — თავისი ქვეყნისთვის გულანთებული, მის ბედზე მთელი სულითა და გულით შეყვარებული და დაინტერესებული ადამიანი და ჟურნალისტი. შეიძლება ითქვას, რომ თემოს თვალწინ წყდებოდა ჩვენი დროის ახალი ისტორია და მას ჰქონდა ბედნიერება გამხდარიყო ამის არა მხოლოდ მოწმე, არამედ მემატიანეც, ჟამთააღმწერელიც...

თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძის დღიურები აუცილებლად დაუსვამს წერტილს მრავალწლიან მითქმა-მოთქმასა და სპეკულაციას იმასთან დაკავშირებით, ჩამოვიდა თუ არ ჩამოსულა ედუარდ შევარდნაძე თბილისში ინკოგნიტოდ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების წინა დღეს. ამის შესახებ თეიმურაზი იძლევა სრულიად ერთმნიშვნელოვან, არაორაზროვან და ამომწურავ პასუხს. სხვათა შორის, ის გვერდები, რომლებიც ეძღვნება თბილისში იმ სისხლიან მოვლენებს — ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი, დაუვიწყარი და ნათელია...

— ედუარდ შევარდნაძეს უსრულდება 85 წელი და ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ მის როლს თანამედროვე ისტორიაში. ზოგჯერ გესმის, რომ, აიო, ის არ იყო მზად იმ მნიშვნელოვანი მისიისთვის, რომელიც მას ბედმა არგუნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფის პოსტზე დანიშვნის დროს, ვინაიდან არ გააჩნდა შესაბამისი დიპლომატიური გამოცდილებაო. როგორია თქვენი აზრი?

— ამ კითხვაზე დღიურებში, აგრეთვე, წიგნში „და მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა“ მოცემულია ამომწურავი პასუხი. აი, რას წერს თეიმურაზ სტეპანოვი-მამალაძე: „არ შემიძლია არ შევხაროდე ედუარდ შევარდნაძეს. მინდა, ვიფიქრო, რომ ჩემი ამაყი სიხარული მის გამო და ოდნავ ჩემ გამოც — არ ემყარება ერთგვარ „ვასალურ აზროვნებას“. ჩემთვის გახსნილია მისი ამჟამინდელი ცხოვრების გარეგნული, საჯარო მხარე, მეტზე კი მე პრეტენზიას არ ვაცხადებ და არც არსებობს იგი. მაგრამ ის, რასაც ვხედავ, მესმის, ვგრძნობ— იწვევს რთულ, თუმცა, მთლიანად — პოზიტიურ გრძნობას. მასში არის სიხარულიც ჩემი სამშობლოს გამოც, რომლის წიაღიდანაც გამოვიდა პროგრესული იდეის ეს მატარებელი, სიამაყეც თავად იმის გამო, ვინაც შეძლო ასე სრულად და მამაცურად გამოეხატა ეს, და ერთგვარი შეგრძნებაც ისტორიული მოვლენებისა, მისი უშუალო მონაწილეობით რომ ხდებოდა, ზოგჯერ კი — პირდაპირ აყალიბებდა კიდეც ამ მოვლენებს“...

— ხომ არ შეგიძლიათ შეადაროთ ედუარდ შევარდნაძე საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს?

— ნებისმიერი ამგვარი შედარება — არაკორექტულია... ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ხელმძღვანელი გახდა 44 წლისა. და უკვე მაშინ მისი განმასხვავებელი ნიშანი იყო დიდი ქარიზმა, საფუძვლიანობა, სიმტკიცე. მას ჰქონდა იმ ადამიანის რეპუტაცია, რომელიც სიტყვებს არ ისვრის უაზროდ, ვინც იცის, რას აკეთებს და რას ამბობს. იმ თაობის რესპუბლიკის მოქალაქეებს ხიბლავდა, რომ პირველი პირის დაპირებებს აქვთ წონაც და ძალაც. იმისგან არასოდეს მოუსმენიათ ის, რასაც ხალხში „წამოყრანტალებას“ უწოდებენ. მახსოვს, როგორ ჩამოვიდა თბილისში მაშინდელი დისიდენტი ეგორ იაკოვლევი, ცნობილი „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მომავალი რედაქტორი, იმ დროს კი „იზვესტიის“ მიმომხილველი. ჩემი თანაკურსელი და კოლეგა ტატიანა ჭანტურია, რომელიც „იზვესტიაში“ საქართველოს წარმოადგენდა, შემდეგ ამბობდა, თუ როგორი სკეფსისით მიდიოდა იაკოვლევი შევარდნაძესთან შეხვედრაზე, და როგორი აღფრთოვანებული დაბრუნდა იმისგან. არა მგონია, ბევრმა დღევანდელმა ჩვენმა პოლიტიკოსმა მოახდინოს თავის თანამოსაუბრეებზე ისეთივე ძლიერი შთაბეჭდილება ღრმა ერუდიციით, დარწმუნების უნარით.

და კიდევ, ვფიქრობ, რომ 2003 წლის ნოემბერში შევარდნაძე რომ ყოფილიყო არა 75 წლის, არამედ თუნდაც 10-15 წლით ახალგაზრდა, ის, რასაკვირველია, „ბეჭებზე გააკრავდა“ ყველა თავის ყოფილ „აღსაზრდელს“, ვინც იგი გამოიწვია. და ჩვენ, თქვენთან ერთად, ალბათ, ვერასოდეს გავიგებდით რაიმეს რაღაც „ვარდების რევოლუციაზე“.

— რას ფიქრობთ, როგორღა შეაფასებენ შთამომავლები შევარდნაძის როლს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში?

— პასუხი, ალბათ, იქნება ასეთი: როგორც უნდა ჩამოყალიბდეს მომავალში საქართველოს ბედი, ვინც და როდესაც უნდა იდგეს ამ ქვეყნის საჭესთან, მისი საძირკველი იქნება ერთი — ის, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ედუარდ შევარდნაძის დროს.

საუბარს უძღვებოდა
ვლადიმერ ანთიძე.

ერთ-ერთ ნაწყვეტს თ.სტეპანოვ-მამალაძის დღიურებიდან ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

◎ „სად წაიყვან სადაურსა“

კრებულიდან — „100 ქართველი უცხოეთში“

გიორგი მაჩაბელი (1885-1935)

პოლიტიკოსი, პარფიუმერი, დიდი ივანე მაჩაბლის ძმისწული. დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია, შემდეგ — ბერლინის სამთო აკადემია. I მსოფლიო ომის დროს ბელგიაში იმყოფებოდა, იქიდან გერმანიაში გადასულმა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ დააარსა და 1914 წელს ჟენევაში შექმნილ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ დაამყარა კავშირი, ფილიალიც გახსნა საქართველოში.

დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) არჩეული იყო მთავრობის დელეგაციის წევრად, მუშაობდა ავსტრიაში, შემდეგ იყო საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი იტალიაში. 1924 წელს მეუღლე ნორინა ჯილისთან ერთად გადასახლდა აშშ-ში. იქ ფაქტობრივად ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1926-ში გახსნა სუნამოების კომპანია, რომელიც ცნობილ ნელსაცხებელთა ფირმად გადაიქცა — „პრენს მაჩაბელი“. სუნამოს ფლაკონის გასაფორმებლად გამოყენებული მაჩაბელთა საგვარეულო ღერბზე გამოსახული ოქროსვარაყიანი გვირგვინი საფირმო ნიშანი გახდა.

თავდაპირველად სუნამოს ფლაკონები კეთდებოდა გერმანული ფაიფურისაგან, შემდეგ ჯორჯ კობის (კიდევ ერთი გაუცხოელებული ქართველი გრიგოლ კობახიძე) მინის კომპანიაში დაამზადეს გამჭვირვალე ფლაკონი. პირველ სუნამოს მოჰყვა სუნამოები „პრინცესა ნორინა“, „ოქროს შემოდგომა“, ოდეკოლონები, პომადები... კომპანია იქცა შტატების ერთ-ერთ წარმატებულ ბრენდად და მალე იმისი პროდუქცია ევროპის სალონებშიც გამოჩნდა.

1931 წელს გიორგი მაჩაბელმა აშშ-ში ქართული სათვისტომო ჩამოაყალიბა პავლე კვარაცხელიასთან შეამხანაგებით.

გიორგი ნიუ-იორკში გარდაიცვალა და „ელიტურ“ ლონგ-აილენდის სასაფლაოზეა დაკრძალული.

მოამზადა
თამაზ ებანოიძემ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ხალხიც დაპურდეს, ქვეყანამაც იხეიროს!

განვითარების გზაზე მყოფი ნებისმიერი ქვეყნისთვის, მით უმეტეს ისეთი ტრადიციულად აგრარულისთვის, როგორიცაა საქართველო, სოფლის მეურნეობას, გადამმუშავებელ მრეწველობას, სამომხმარებლო კოოპერაციას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე პირობებში მის როლსა და განვითარებას პერსპექტივებზე საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირის – ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, ბატონ როინ ადამაძეს ვესაუბრეთ.

– თავდაპირველად იმის თაობაზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა, თუ რა როლს ასრულებს კოოპერაცია **დღევანდელ მსოფლიოში, – თქვა ბატონმა როინმა.** – 2008 წელს, როცა მსოფლიო ფინანსური კრიზისი დაიწყო, კოოპერატორთა მსოფლიო ალიანსში გაერთიანებული იყო 800 მილიონი ადამიანი, მათ შორის ცეკავშირიც, რომელიც ერთადერთია საქართველოდან მსოფლიო და ევროპის კოოპერატორთა ალიანსებისა და დსთ-ს ქვეყნების კოოპერატორთა ლიგის წევრი. იმავე წლის ნოემბერში, მსოფლიო ოცეულის ლიდერთა შეხვედრისას, გადაწყდა განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა კოოპერაციის განვითარებას, რაც მსოფლიოს ფინანსური კრიზისის დაძლევაში დაეხმარებოდა. **გაეროს 2010 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილებით, 2012 წელი კოოპერატივების საერთაშორისო წლად გამოცხადდა. 2011 წელი კოოპერატივების საერთაშორისო წლის მოსამზადებელ წლად ითვლებოდა, რისთვისაც, თანახმად გაეროს რეზოლუციისა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ოფიციალურად შეიქმნა საერთაშორისო ნაციონალური კომიტეტი. 2011 წლის ნოემბერში, ნიუ-იორკში, გაეროს 66-ე გენერალურ ასამბლეაზე, ოფიციალურად გამოცხადდა კოოპერატივების საერთაშორისო წლის დაწყება. ორი თვის განმავლობაში ვთხოვდი საქართველოს მაშინდელ პრემიერ-მინისტრს ნიკა გილაურს და უშიშროების საბჭოს მდივანს გიგა ბოკერიას, რომ ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მიგვეღო. თუმცა კი, ჩემი თხოვნა პრემიერ-მინისტრმა უპასუხოდ დატოვა, ხოლო უშიშროების საბჭოდან მაცნობეს რომ კოოპერაციის განვითარება არ შედის სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებში.**

2012 წელს მანჩესტერში (დიდი ბრიტანეთი) ჩატარებულ მსოფლიო კოოპერატორთა შეკრებაზე გამოცხადდა, რომ **ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოში კოოპერატორთა რიცხვი 250 მილიონით გაიზარდა, ანუ ერთ მილიარდს გადააჭარბა. ე.ი. ბოლო ოთხ წელიწადში კოოპერაციის განვითარების მეშვეობით დასაქმდა მსოფლიოს შრომისუნარიან ადამიანთა 8%,** რაც, ჩემი აზრით, ძალიან დიდი ოდენობაა.

საქართველოს ცეკავშირმა კოოპერაციის განვითარების გეგმა დასახა, მისი როლი განსაზღვრა საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობაში, რაზეც საუბარი სოფლის მეურნეობით მინდა დავიწყო: **საქართველოში სოფლად ორი მილიონი მოსახლეა, აქედან 70-80% სიღარიბის ზღვარს მიღმაა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მათ მიწის მცირე ნაკვეთები აქვთ (ერთ ჰექტარზე ნაკლები), თანაც სოფლად არც ერთი წარმოება არ მუშაობს.** მინდა გითხრათ, რომ სოფლის განვითარების ახლანდელი პროგრამა შევისწავლე და ამ ხალხის ვერც დასაქმების და ვერც დახმარების პერსპექტივა ვერ დავინახე. მაგალითად, თუ საქართველოში 300-400 ახალი წარმოება აშენდება, ისინი დაინტერესებული იქნებიან რაც შეიძლება იაფად შეისყიდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, გადაამუშაონ იგი და მაქსიმალურად ძვირად გაყიდონ. ამაში ცუდი კი არაფერია, მაგრამ **ამ წარმოებებში სოფელში მცხოვრები მთელი მოსახლეობა მაინც ვერ დასაქმდება და მათი ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობა უცვლელი დარჩება.**

ამიტომ, საჭიროა სოფლად შეიქმნას მრავალდარგობრივი კოოპერატივები, დასაქმდეს სოფლის უღარიბესი მოსახლეობა, გადაწყდეს სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, მოხდეს სოფლის ინდუსტრიალიზაცია. კოოპერატივები, რომელთა შექმნასაც ჩვენ ვთავაზობთ მოსახლეობას, უნიკალურია და ანალოგი არა აქვს მსოფლიოში, რადგან მათი შექმნა ხდება ყოველგვარი შენატანის გარეშე ერთადერთი მიზნით – გაუმჯობესოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

კოოპერატივი – ეს არის ხალხისა და ორგანიზაციების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რათა მათ, თავიანთი საქმიანობით, ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს ერთობლივად მიაღწიონ კოოპერატივის წევრების მატერიალური და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთ კოოპერატივებში გაერთიანებთ სოფლის მოსახლეობის ყველა მსურველს. კოოპერატივის მიზანია, დაეხმაროს მოსახლეობას მოსავლის მოყვანაში თავიანთ მცირე ნაკვეთზე, მის გადამუშავებასა და რეალიზაციაში. გარდა ამისა, იმ მიზნით, რომ სოფლის მოსახლეობა წელიწადში ათ თვეს იყოს დასაქმებული, ყველა კოოპერატივში ინდივიდუალურად დამატებითი მიმართულება დაინერგება. მაგალითად, თუ კოოპერატივის ძირითადი მიმართულება მევენახეობაა, დამატებითი მიმართულება შეიძლება იყოს მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მებაღეობა, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოება და სხვა.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული კოოპერატივები გადაჭრიან სოციალურ-ეკონომიურ პრობლემებს სოფლად და ამისათვის ყოველი კოოპერატივის მეპაიე, ჩვენს მიერ მოძიებული თანხებით აშენებულ საწარმოში, ამ საწარმოს მეწილე-მეპაიე გახდება. ეს წილი შეიძლება შეადგენდეს 50-იდან 80%-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მეპაიეთა ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასზე. მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც წყალტუბოს რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივზე გავთვალე, სადაც ამ კოოპერატივის საწარმოში მეპაიეებს რეალიზებული პროდუქციის მოგების 60% ექნებათ. ბიზნეს-გეგმის მიხედვით, პირველ ეტაპზე ვაპირებთ 200 ათასი კვადრატული მეტრი ფართის სათბურის ყიდვას. ყველა მეპაიეს დაურიგდება ხუთას-ხუთასი კვადრატული მეტრი სათბური 2-3-წლიანი განვადებით. ჩვენი გათვლით, თითო ოჯახი წელიწადში კოოპერატივს ჩაბარებს 4500 დოლარის მწვანილს, საიდანაც მისი შემოსავალი წელიწადში 2000-2500 დოლარი იქნება, მაგრამ მოგების შემდეგ თითოეულ მათგანს შეხვდება კიდევ 12-13 ათასი დოლარი, ე.ი. ერთი ოჯახის შემოსავალი წელიწადში 15-16 ათას დოლარს შეადგენს. ეს მხოლოდ პირველი წლის მოგებაა და, სურვილის შემთხვევაში, ისინი შეძლებენ ამ წელსვე დაფარონ აღებული კრედიტის თანხა. გარდა ამისა, სიურპრიზს ვუკეთებთ კოოპერაციის ვეტერანებს: ახლად შექმნილ კოოპერატივებში ისინი ორ პაის მიიღებენ.

საქართველოს რეგიონების მიხედვით, ასევე შემუშავებული გვაქვს 50-ზე მეტი ბიზნეს-გეგმა, რომლებშიც გათვალისწინებულია ახალი ტექნოლოგიები, ულტრათანამედროვე დანადგარები და, ამიტომ, ამ კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქცია შეძლებს კონკურენცია გაუწიოს ანალოგიურ პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე. წარმოებული პროდუქციის არც ერთ სახეობას ექსპორტზე არ გავიტანთ დაფასოების გარეშე, ისეთი პროდუქტიც კი, როგორიცაა ვაშლი და მანდარინი, საზღვარგარეთ „კალიბროვკის“ შემდეგ გავა მხოლოდ, 7-კილოგრამიანი ხის ყუთებით, რადგან ევროპაში მუყაოს ყუთებით პროდუქციის შეტანა 2013 წლიდან აკრძალულია.

ყოველივე ამისათვის ჩვენ შერჩეული გვაქვს სხვადასხვა წარმადობის მინი-საწარმოები მურაბების, კომპოტების, წვენების, ჟელეების, საწებლების, თხილის, მიწის თხილის, წაბლის, დაფნის ფოთლის, მწვანილის და ა.შ. დასაფასოებლად. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტზე შემუშავებულია დამზადების ტექნოლოგიები, გათვლილია ყველა ხარჯი, ჩატარებულია მარკეტინგი, სარეალიზაციოდ მოძიებულია პარტნიორები. შემუშავებულია ბიზნეს-გეგმები პროდუქციაზე, რაც საქართველოში ჯერ არ იწარმოებოდა, ეს არის სტაფილოს, კურკოვანი ხილისა და ზამთროს კონცენტრატი, პეკტინი, ხილის ჩიპსები, მწვანილისა და ხილის გაშრობა და მისი დაფასოება. **ახალი** მიდგომა იქნება მეცხოველეობის განვითარებისადმი (ნინოწმინდის, წალკის, დუშეთის, გარდაბნისა და ყველა მთიან რაიონში). შემუშავებულია ბიზნეს-გეგმები, სადაც გათვალისწინებულია სხვადასხვა წარმადობის რძისა და ხორცის გადამმუშავებელი დანადგარები. ახალი ტექნოლოგიების დახმარებით წარმოებული პროდუქცია გავა ექსპორტზე (შებოლილი სულუგუნი, გუდის ყველი, პარმეზანი, შებოლილი ლორი და სხვა).

საქართველოში, საამისოდ გამოსადეგ ყველა რეგიონში, ასევე უნდა განვითარდეს მეფუტკრეობა, სადაც მათ მიერ მიღებული იქნება მისი ყველა პროდუქტი. ამისათვის ჩვენს მიერ შემუშავებულ ბიზნეს-გეგმაში გათვალისწინებულია ულტრათანამედროვე საწარმო, რაც კოოპერატივებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში დაეხმარება, პროდუქციის მაღალხარისხოვნად დაფასოებაში, ეს კი მის მსოფლიო ბაზარზე გატანის შესაძლებლობას მოგვცემს.

ზემოჩამოთვლილი პროდუქციის რეალიზაციაში ჩვენ დაგვეხმარება კოოპერატორთა მსოფლიო ალიანსი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ატარებს კვების პროდუქტების მსოფლიო გამოფენა-ბაზრობებს. ასევე დიდი იმედი გვაქვს პირადი ურთიერთობისა დსთ-ს კოოპერატორთა ლიგის წევრებთან, რომლებმაც უკვე აღგვითქვეს დახმარება.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ **ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული კოოპერატივების ძირითადი მიზანია სოფლის უღარიბესი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.** ქალაქიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის მოზიდვისა და ლტოლვილთა დასაქმების მიზნით, ჩვენს მიერ შემუშავებულ ბიზნეს-გეგმებში გათვალისწინებულია თანხის 10%, რომელიც სოფლად სახლების რეაბილიტაციას, ახალი კოტეჯების აშენებასა და მიწის შეძენას მოხმარდება.

მნიშვნელოვანია ასევე დაფინანსების საკითხი: კოოპერატივთა დაფინანსება მოხდება ბიზნეს-გეგმების მიხედვით, სადაც ნაჩვენები იქნება კოოპერატივის საქმიანობის მიმართულება, საჭირო დაფინანსების ოდენობა, რენტაბელობა. დაფინანსება შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

1. ინვესტორი შეიძლება იყოს სახელმწიფო, სხვადასხვა ორგანიზაცია და სტრუქტურა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

2. სახელმწიფო იძლევა დაბალ პროცენტიან კრედიტს 3-5 წლის ვადით (რომელიც აუცილებლად უნდა დაბრუნდეს).

3. ინვესტიციების მოზიდვაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ორგანიზაცია.

4. ინვესტიციები შეიძლება განახორციელოს თავად მოსახლეობამაც, ან საზღვარგარეთ წასულმა თანამემამულეებმა.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული კოოპერატივები არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში არ ჩამოყალიბდება კლასიკური კოოპერატივები. ჩვენი მიზანი არ არის გავხდეთ მონოპოლისტები კოოპერატივების ჩამოყალიბებაში, ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ არა მარტო სხვა კოოპერატივებს, აგრეთვე სხვა საწარმოებს პროდუქციის რეალიზაციაში.

იმისთვის, რომ ქვეყანაში კოოპერაცია განვითარდეს, მას უნდა სახელმწიფოს მხარდაჭერა, ჰყავდეს უფლებამოსილი კურატორი, რომელსაც ინვესტორების და უცხოური სტუმრების მოწვევასა და შეხვედრების ორგანიზებაში დახმარება შეეძლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თაობაზე წერილობით შევატყობინე ლტოლვილთა და განსახლების, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროებს, თუმცა კი, პასუხი ჯერ არ მიმიღია. ნორმალური ურთიერთობა დავამყარეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მქონდა პრეზენტაცია, გადავეცი ბიზნეს-გეგმების ნაწილი და გადავწყვიტეთ საქართველოში წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია მსოფლიო ბაზარზე ერთად მოვახდინოთ. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ასევე ფინანსთა მინისტრთან ნოდარ ხადურთან შეხვედრამ, რომელიც ასევე თანადგომას დაგვპირდა.

კოოპერატივების შექმნა ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში არანაკლებ აქტუალური და ეფექტიანია, ამიტომ მოკლედ შევჩერდები ზოგიერთ მიმართულებებზე. 2006 წელს საქართველოში უნდა ჩამოსულიყო კოოპერატორთა დელეგაციები იაპონიიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან. თავის დროზე მათ წყალტუბოსა და სხვა ბალნეოლოგიური კურორტების რეაბილიტაცია შევთავაზე, სადაც დაისვენებდნენ და იმკურნალებდნენ ბრინჯისა თუ სხვა პლანტაციებში მომუშავე სახსრების დაავადებებისაგან სამკურნალო კოოპერატორები.

ქალაქში კოოპერატივების ჩამოყალიბებას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ეკონომიკის განვითარებას, მაგალითად, მედიცინაში. პოლიკლინიკების ექიმების სამსახურიდან დათხოვნის და ქუჩაში გაყრის ნაცვლად მედმუშაკებს შეუძლიათ, ჩამოაყალიბონ კოოპერატივები, თავად შეისყიდონ ობიექტები, ვიდრე არარეალურ ინვესტორებს მისცენ 60%, რომლებიც მათივე თანხებიდან იხდიან სახელმწიფოს ვალებს.

კოოპერატივებში შეიძლება გაერთიანდნენ აგრეთვე ტაქსის მძღოლები, დალაქები, ბაზრობების წვრილი მოვაჭრეები. მე მზად ვარ დავეხმარო მათ წესდებების შედგენაში და სათანადო კონსულტაციებიც გავუწიო.

ბოლოს კი რედაქციას მადლობა მინდა გადავუხადო კოოპერაციისადმი ინტერესის გამოიჩენისთვის.

საუბარს უძღვებოდა
ოთარ ტურაბელიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სექენდ ჰენდი

ეს რა ამბავი ტრიალებს საქართველოს პარლამენტის შენობაში. ფრინველთა რა ვოლიერი გაუხსნიათ ქუთაისში, რა ჟივ-ჟივი, კრიახი, წივწივი და გნიასია ატეხილი უმცირესობის ქანდარაზე?

კრუხთა საბუდებელში.

ამათ, ეტყობა, დაიჯერეს, რომ ფრთოსანთა სამყაროს რჩეული წარმომადგენლები არიან.

ჩიტირეკიები.

ჩიორები, ჩიტუნიები, ჩიტბატონები გაყინული მზერით, ჩიჩხვიანი და ჩიჩვრიანი უმდაბლესობა. ჩინარზე აბულბულებული ყოფილები.

სდექ! აქ მე ვარ მეფე!

აქ და ეკრანზე. დაუსწრებლად.

ვირთხა რომ დასუნსულებდა ქუთაისის პარლამენტის ოთახებში, ხომ ნახეთ? ნახეთ! იმის თავზე, ცოტა ზემოთ, მე ვიჯექი. კადრში არ ვჩანდი. რას დამინახავდით.

არ გამომაჩინეს: ბელურა ხარ. შენც ჩიტო და ჩიორაო.

ძალიან შეეშალათ.

და აი, დადგა დღე სიმართლისა, მომენტი ჭეშმარიტების!

მორჩა! დღეს უნდა ვაღიარო, რომ არ-

მე იქ ორხიდიანი მანქანით ჩავედი. შოფრის გვერდით ვისხედით მე და გუჯა ბურდული – ჩემი პარტნიორი „ბელურების გადაფრენიდან“. მაგრად რომ ვუეჟეთ პიჟონი მალიარი. მე და გუჯამ. კასპის მისადგომებთან. არწივი თავისი სვლით ჩამოლივლივდა ამ თოვლსა და ყინვაში. იმ მალიარივით ეგეც მეთამაშება – პინგვინს ბიძინას ვოლიერიდან.

მეუბნება: „კრის (ასე მეძახის – „კრის!“), სხვისი ხელით შეძლეულ ლუკმას ვერ ვეგუები. ვადაგასული ხორცის ნაჭრებს ქათმის საკენკივით რომ დაგიყრიან: ჯუჯ-ჯუჯ-ჯუჯ.

ჯუჯალარი...

ძეგლივით ვზივარ ფრიალო კლდის თავზე. პლანეტარული მასშტაბი. და ლუკმის მონატრება.

კავკასიონი ჩემ წინაა,
მაღლიდან მარტო
დავცქერი მყინვარს
უფსკრულების ნაპრალთან მდგარი...

და თვითკმაყოფილებით ვივსები. პატივისცემით საკუთარი თავის მიმართ. რადგან სხვა არავინაა. არც მოწმე. არც პატივისმცემელი. არც კმაყოფილი.

არწივმა პარლამენტს გუგულივით გადაუფრინა

მიხაილ ჟვანეცკის „გაქნილი ბელურას“ ეპატაჟური რიმეიკი

წივი ვარ... სანამ არჩილ კბილაშვილის უწყებაში დამიბარებენ ჩვენების მისაცემად მოწმის სტატუსით, იქამდე.

სკუპ-სკუპ, ჭივ-ჭივ.

მტაცებელი ფრინველი ვარ. ავხორცი. ბასრი ნისკარტი, ალესილი ბრჭყალები.

„ვაჰ, დედა თქვენსა, ყოვებო“ ჩემზეა დაწერილი. ჩემი მსხვერპლია დაკოდილი არწივი. კოლიტ კონკურენტი. ხელში ჩამიგდია და ვპუტავ, ვპუტავ. ქარსა და ნიავს მიაქვს მისი ბუმბული.

ბასრი ნისკარტი. ალესილი ბრჭყალები.

ყურში ჩამაწვეთეს: პატარა და ჩიორაააო. მცირე და უმცირესიო. არ ვდავობ. ასეა. მაგრამ იმიტომაა ასე, რომ შენობაში ვმუშაობ. ადაპტირებული ვარ.

ფრთები რომ გავშალო, ორ მეტრამდეა, გავშლი და თავს დაემხობა პარლამენტის შენობა მეორე დედაქალაქს. ერთხელ ჭაღი რომ ჩამოვარდა ჩემი ბრალი იყო, მეორედაც – სადღაც რაღაცა რომ ჩამოვარდა, ისიც.

სულის შებერვაზეა.

გარემო ქმნის შეგნებას. შევიგნე და მოვერგე. ურბანიზაცია, კანალიზაცია, დეგრადაცია, კოაბიტაცია, ბობოხიძის ფაქტორი.

თბილისს თავისი არწივები ჰყოფნის.

ქუთაისში მე ვარ არწივიც და ფრინველთა მეფეც. რეფორმაციის პროდუქტი. ვზივარ უმცირესობის ქანდარაზე და ვკენკავ აზროვნების ნარჩენებს ბელურის მენამცეცეობით და მშიერი არწივის გაგულისებით.

სკუპ-სკუპ, წივ-წივ.

არწივის წივწივი ჩემი ნოუჰაუა. შეფურთხებაც. ბელურებისგან ითმენს ხალხი – ახალი მოწვევის წვრილფეხობისგან.

ტრიბუნიდან გავარდნილ სიტყვას ჯამში ჩავარდნას არ ვაცლი. ჰაერშივე ვიჭერ. სიტყვაც ბელურაა: „გაფრინდება და ფრიიი“. დავიჭერ და ავქოთქოთდები, ავიქოჩრები, გავდიდგულდები და „ცერზე შევდგები როგორც ავაზა“ მინაშვილი. კაკი: გამიშვი-არ გაგიშვებ! არწივის თვალებს შუბლზე გამოვისხამ, გადავუბრიალებ უმრავლესობას და აქუხდება დინამიკებით ძალამიცემული „ჩემი“ სიტყვა. მიკროფონი – პირდაღებული გველეშაპი.

გველის წელიწადია.

ბე-ღურა ბე-ღორისგან მოდის. ოღონდ სინდიყის წვეთივით სწრაფია და მოუხელთებელი. წკაპ და – მარცვალიც არ დარჩება. როგორც თმა მელოტ თავზე.

არწივი მოუქნელია და ჩლუნგი.

ამას წინათ ერთ ასეთნაირ „მოაზროვნესთან“ ერთად ვსაუბრობდით გუდაურის რესტორნის წითელი სახურავის საკვამურთან. სურნელება ამოდიოდა, გიყვარდეს!

შვილებიც გამიფრინდნენ.

– ზოოპარკის გალიებში სხედან და ცირკის არენაზეც მატრაბაზობენ „ეთერის ლაღი შვილები“.

– „ახალი თაობა ირჩევს „პეპსის“, – შედევრალური რეკლამის ციტირებით ფილოსოფოსობს.

– „იგრძენი მომავალი“, – რეკლამითვე ვუპასუხებ.

– მე სხვანაირად ვარ აღზრდილი, – იბრიქება. ოროსანი! მუმია! ჩარეცხილი, რეპრესირებული მეფე ლირი.

– ჩადი ქალაქში, ლირო. ჩაეწერე „დემოკრატიული“ აღზრდის დაჩქარებულ კურსებზე. ოფოფების ნაცვლად ტვინში იმპორტულ ჩიპს ჩაგიდებენ, გოიმურ ფრთებსაც შეგაჭრიან და ახალი მოდის ცოცხებს კუდის ნაცვლად გაგიშლიან მარაოდ.

მა, რაო!

ჩამოგკიდებენ კისერზე ფირფიტას: „კავკასიური მთის არწივი. ნატურალური“. როგორც რიკოთზე გასაყიდად გამოტანილი თაფლი.

ადგილს გამოგიყოფენ პარლამენტში. უმცირესობის ქანდარაზე. შენს გვერდით – რა ხალხი! გო-კა, ა-კო, ნუ-გო, წიკო-მაკო... ჩიორები. ელიტა. ხელფასიც შესაფერისი და პენსიაც სიკვდილამდე. სადეპუტატო.

რასაც დაგიყრიან, იმას აჰკენკავ. დადგები მიკროფონთან და მიაწვები „ზეწოლას“. ახლა ამ სიტყვას ამკვიდრებენ პოლიგლოტები „მაგარიას“ ნაცვლად, რომელიც საქართველოს ბეჭედდასმულ ბედნიერებას ნიშნავდა მიშას ხელში...

ვერაფერი გაიგო კოლეგამ. ხომ გითხარით, ჩლუნგია.

გაფრინდა არწივი.

არწივად დავრჩი მე... და – წავედი სამუშაოდ...

აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! ქვა მესროლეს! პოლიცია! პრეზიდენტის მანქანას ასცდა და მე მომხვდა.

მიზანი გაასწორე, ძმაო!

ხაბარდა! არწივი მოვდივარ!

– რა მოგაქვს?

– ციხე და ცხოვრების გაძვირება, უმუშევრობა და უსამართლო სამართალი. გაბაშვილები, კოდუები, კუბლაშვილები – სურო-კურკანტელივით ხონჩას შემოწყობილი.

„კუჩხი ბედინერი!“ ოღონდ ცოცხი დამალეთ. ცოცხი არ უყვარს ბროლიას.

გზა! გზა მიეცით მთის არწივს! კავკასიურს. ნატურალურს.

ჭივ-ჭივ... სკუპ-სკუპ.

ამირჩიეთ რა პრეზიდენტად...

ბენჟამენ იგარკა

◎ განსჯა

დეფი, ლექს-სენი და სხვები

ანუ რა დააფინანსა კულტურის სამინისტრომ შარშან?

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2012 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებისთვის 12 265 272 ლარი გამოუყვია. ამ „ინფორმაციას თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ აქვეყნებს და „ამბები. გე“ ავრცელებს.

საჯარო ინფორმაციის ანალიტიკურ ბლოგზე გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით ირკვევა, რომ თებერვალში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან **ყველაზე მსხვილი თანხები – 385 500 ლარი გამოიყო მიუზიკლ „ქეთო და კოტეს“ ორგანიზებისთვის, ბათუმში „ლუჩია და ლამერმურის“ ოპერის დადგმისთვის 412 800 ლარი და ბათუმში ჯაზ-ფესტივალის ჩატარებისთვის – 460 000 ევრო. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ საჩხერეში 13 იანვარს გამართულ საახალწლო კონცერტთან დაკავშირებული ხარჯები (76 058 ლარი) ანაზღაურდა თითქმის ერთი თვის შემდგომ, 7 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.**

მარტში **310 000 ლარით დაფინანსდა ნინო ანანიაშვილის „30 წლის აღსანიშნავი“ ღონისძიება და, აგრეთვე, 180 000 ლარით – მომღერალ ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძის საკონცერტო ტურნე პოლონეთსა და იტალიაში.**

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ **აპრილში 12 ღონისძიება დაფინანსდა, რომელმაც 120886 ლარი შეადგინა.**

მაისში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი ოდენობით თანხა – 564 972 ლარი და 207 298 აშშ დოლარი გამოიყო 26 მაისს ქუთაისში საზეიმო კონცერტის გამართვისთვის.

500 000 ლარით დაფინანსდა საერთაშორისო ფესტივალი თბილისი Open Air Altervision. 298 705 ლარი გამოიყო მიუზიკლ „ქეთო და კოტეს“ ორგანიზებისთვის, 30 575 ლარით დაფინანსდა მომღერალ მერაბ სეფაშვილის კონცერტი.

ივნისში ყველაზე დიდი თანხა, 1 356 800 ლარი გამოიყო ახალციხეში კონცერტის ჩატარებისთვის, რომელიც მიეძღვნა რაბათის კომპლექსის გახსნას. ამის თაობაზე სამინისტროს ხელშეკრულება შპს „ისთერნ პრომოუშენთან“ აქვს გაფორმებული.

ამავე პერიოდში **480 000 ლარით დაფინანსდა პროექტი „მე მიყვარს საქართველო“, რომელიც საქართველოს რეგიონებს მოიცავდა და პატრიოტული სიმღერების ავტორებისა და მათი კომპოზიციების აღმოჩენით იყო დაკავებული.**

ორგანიზაციის ინფორმაციით, ივლისის თვე გამორჩეული იყო სხვადასხვა ღონისძიებისა და მსხვილი პროექტების დაფინანსებით. **თბილისსა და ოზურგეთში მიუზიკლ „ვერის უბნის მელოდიების“ განხორციელებისთვის გამოიყო 1 716 985 ლარი. მოცეკვავე ხოაკინ კორტესის კონცერტი კი ბათუმში 550 000 ლარი დაჯდა.**

აგვისტოში ყველაზე მსხვილი დაფინანსება – 698 399 ლარი მიიღო პროექტმა „მეამაყება საქართველო“. ასევე 208 004 ლარი გამოიყო მომღერალ ლექსო ქავთარაძის (ლექს-სენის) სამი მუსიკალური კლიპის გადაღების, ორი ახალი სიმღერის ჩაწერისა და 2012 წლის 26 აგვისტოს ბათუმში ორსაათიანი კონცერტის ჩატარებისთვის.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციამ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ პირველად მიიღო სრული ჩამონათვალი და დაფინანსების ოდენობა იმ სოციალური და კულტურული ღონისძიებებისა, რომლებიც 2012 წლის განმავლობაში განახორციელა სამინისტრომ.

„ვფიქრობთ, ეს მონაცემები მნიშვნელოვანი წყაროა იმის გასარკვევად, თუ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რა მიმართულებების განვითარებას უწყობდა ხელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მომავალში სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ გადახედოს საკუთარ პოლიტიკას საბიუჯეტო სახსრების განკარგვასთან დაკავშირებით და ყველა შესაბამისი ღონისძიება განახორციელოს გამჭვირვალე პროცედურებისა და კონკურენციის პრინციპების დაცვაზე დაყრდნობით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა საზოგადოებაში არ არსებობდეს განცდა იმისა, რომ კულტურის სფეროს დაფინანსება შესაძლებელია დამყარებული იყოს პატრონაჟის, თანამდებობის პირთა პირადი თუ პოლიტიკური სიმპათიების საფუძველზე“, – ნათქვამია სტატიაში.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაციაც დავით დეფი-გოგიბედაშვილის დაფინანსების თაობაზე ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში პოეზიის საღამოს ჩატარებისთვის – 2250 ლარი კულტურის სამინისტროს ხარჯები. და დეფი ერთადერთი არ ყოფილა ამ სიაში... ვინ იცის, რამდენი მსგავსი ე.წ. პროექტისთვის ფუჭად გამოიყო თანხები, მართლაც, პირადი თუ პოლიტიკური სიმპათიების საფუძველზე... ეს რომ ასეა, ზემოხსენებული ჩამონათვალიც მოწმობს... და ამ დროს, რამდენი „დაბალბიუჯეტიანი“ და ძალიან კარგი და ღირსეული რამ და ვინმე ვერ დაფინანსდა, ამ დომხალის გამო!

იმედია, სუბიექტური შერჩევითობის პრინციპი ახალი მთავრობის პირობებში აღარ იმოქმედებს.

ნატა ნიბლაძე

◎ ინფორმაცია

კახეთში მოსახლეობისთვის კომპენსაციების გაცემა დაიწყო

კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციების გაცემა დაიწყო. დილიდან „ქართუ ბანკის“ თელავის ფილიალთან გამოკრულია დაზარალებული გლეხების სიები. სულ ამ დროისთვის 2768 დაზარალებულის სიაა გამოკრული, რომლებიც პირველ ეტაპზე მოხვდნენ სიაში.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, „ქართუ ბანკის“ ფილიალთან ხალხმრავლობაა. სხვადასხვა სოფლებიდან ხალხი სიების გადასამოწმებლად ჩამოდის.

გაცემული კომპესაციების ოდენობა 500-დან 7000 ლარამდე მერყეობს. მოსახლეობის ერთი ნაწილი კი, უკმაყოფილებას გამოთქვამს მცირე თანხის მიღების გამო და იხსენებენ დაპირებას, რომლის მიხედვითაც, ყველა დაზარალებულ ოჯახს სულ მცირე 4 700 ლარი უნდა მიეღო. კომპენსაციას სულ 28 500 ოჯახი მიიღებს. თანხა 6 კვირის განმავლობაში დარიგდება.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს „საპარლამენტო პრეზიდენტს“ სთავაზობენ

გავლენიანი დეპუტატები პრემიერ ბიძინა ივანიშვილის კოალიციის „ქართული ოცნებიდან“ გამოვიდნენ ინიციატივით, შეიცვალოს სახელმწიფოს მეთაურის არჩევის წესი. მათი გეგმით, შემოდგომით პრეზიდენტი არჩეული უნდა იქნეს არა საყოველთაო კენჭისყრით, არამედ პარლამენტში. სხვათა შორის, ზოგიერთი ცნობილი პოლიტიკოსი, მათ შორის მმართველი კოალიციის წევრებიც, გამოდიან ამჟამინდელი სისტემის შენარჩუნების მხარდაჭერით. ეს საკითხი გახდება საკვანძო საკონსტიტუციო რეფორმის დროს, რომელიც გათვალისწინებულია გაზაფხულისთვის და მან შეიძლება გათიშოს „ქართული ოცნება“.

აირჩიონ პრეზიდენტი პარლამენტში, შესთავაზა პრემიერის ერთ-ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა, დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა. „პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები ძალიან ძვირი ჯდება. რატომ წავიდეთ ასეთ დანაკარგებზე, როდესაც შეიძლება ავირჩიოთ პრეზიდენტი პარლამენტში?“ — გაოცებულია იგი. ბატონ ქუცნაშვილს მხარი დაუჭირა რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელმა ლევან ბერძენიშვილმა. მისი აზრით, „პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებმა პარლამენტის გაძლიერებული როლის პირობებში შეიძლება ორხელისუფლებიანობამდე მიგვიყვანოს“.

კონსტიტუციის ცვლილებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შედის ახალი პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ოქტომბერში, ხდება საქართველოს ტრანსფორმირება საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკად. ძირითადი უფლებამოსილებანი გადანაწილდება ძლიერ პრემიერსა და შედარებით სუსტ, თუმცა სახელისუფლო ბერკეტების შემნარჩუნებელ პრეზიდენტს შორის. შესწორებათა ავტორმა იურისტმა ავთანდილ დემეტრაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ უარის თქმა პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნებზე დაარღვევს თავშეკავებისა და დაპირისპირების სისტემას,

რაც აუცილებელია დემოკრატიისთვის. „ეჭვი არ არის, რომ პარლამენტი აირჩევს კანდიდატს „ქართული ოცნებიდან“, და ჩვენ კვლავ მივიღებთ ერთპარტიულ სისტემას“, — მიაჩნია ბატონ დემეტრაშვილს.

ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში უარს საყოველთაო-სახალხო არჩევნებზე მხარს უჭერენ ძირითადად რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები. ზოგიერთი განცხადების შესაბამისად, ასეთ ვარიანტს მხარს უჭერს თავად პრემიერიც. 1 ოქტომბერს პარლამენტის არჩევნებისთანავე ივანიშვილმა დაასახელა საუკეთესო კანდიდატად პრეზიდენტის პოსტზე ვახტანგ ხმალაძე. მაგრამ ამ პოლიტიკოსს ნაკლები შანსი აქვს პირდაპირ არჩევნებზე.

არის რისკი, რომ დავა პრეზიდენტის არჩევნების წესის შესახებ გათიშავს მმართველ კოალიციას: თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ მხარს უჭერენ პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებს. თავად ალასანიამ არაერთგზის გვაგრძნობინა, რომ მზად არის, გახდეს პრეზიდენტი. „თავისუფალი დემოკრატების“ პოტენციურ მოკავშირედ ამ საკითხში ექსპერტები ასახელებენ პრეზიდენტის პარტია „ერთიან ნაციონალ მოძრაობას“. „გასაგებია, რატომ ეშინია ივანიშვილს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნებისა. ოქტომბრამდე ის ვერ შეძლებს ვერც ერთი წინასაარჩევნო დაპირების შესრულებას და მისი კანდიდატი აუცილებლად წააგებს“, — დარწმუნებულია პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გოკა გაბაშვილი.

ძნელად რომ დაუჭიროს მხარი პრემიერს პარლამენტის ექსსპიკერმა ნინო ბურჯანაძემაც. „სააკაშვილის დროს მოხდა გადახრა პრეზიდენტის ხელისუფლების მხარეს, — განაცხადა ქალბატონმა ბურჯანაძემ. — მაგრამ, თუ უარს ვიტყვით პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებზე, მაშინ მოხდება გადახრა პარლამენტის მხარეს“.

ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ დავამ პრეზიდენტის არჩევნების წესის შესახებ შეიძლება მიგვიყვანოს ტაქტიკური კავშირის შექმნასთან ალასანიას, ბურჯანაძისა და მიხეილ სააკაშვილის მომხრეებს შორის, რომლებსაც ასევე ეყოლებათ პრეზიდენტის თავიანთი კანდიდატი. ის გახდება ან დედაქალაქის მერი გიგი უგულავა, ან ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი.

Коммерсантъ

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასოციაციამ შეიძლება ახალი რეზოლუცია მიიღოს აგვისტოს ომთან დაკავშირებით

22 იანვარს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას განსახილველად შესთავაზეს ახალი რეზოლუცია, რომელიც ეძღვნება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს და მის შედეგებს, რის შედეგადაც მოხდა აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის სუვერენიტეტის აღიარება რუსეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიერ. თბილისში იმედი ჰქონდათ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილება იქნებოდა საქართველოს საარგებლოდ. წინა დღით სტრასბურგში გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მაგრამ მისი გამოსვლა შეიძლება შებრუნდეს გაზრდილი დაძაბულობისკენ თავად საქართველოში.

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა იყო ემოციური და გრძელდებოდა ერთი საათი

სტრასბურგში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ. პირველი მან მიუძღვნა გარდაქმნებსა და პროგრესს, რასაც ქვეყანამ მიაღწია ვარდების რევოლუციის შემდეგ. აქ ყველაფერი ნათელია: სწორედ 2003 წლის მოვლენებმა, სააკაშვილის რწმუნებით, მოგვცა საშუალება გამოგვეყვანა საქართველო სიბნელიდან და სიღარიბიდან, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა ხელისუფლებაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მოსვლამდე. ბუნებრივია, დასავლელი პარტნიორების დახმარებით.

მიზეზები, რის გამოც საქართველოს მოსახლეობა, უფრო სწორად მისი დიდი ნაწილი აღარ აღიქვამს პროგრესს და ოქტომბრის არჩევნებში მხარი დაუჭირა არა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, არამედ „ქართულ ოცნებას“, პრეზიდენტმა არჩია არ დაეკონკრეტებინა, მხოლოდ გადაკვრით მიანიშნა ან ივარაუდა, რომ თავი ვერ დააღწიეს გარე და შინაურ მტრებს. სამაგიეროდ, მისთვის დამახასიათებელი ვირტუოზობით შეაბრუნა ეს დამარცხება თავის სასარგებლოდ: „მე გაწბილებული ვარ არჩევნების შედეგებით, მაგრამ ვამაყობ, რომ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა მოხდა სწორედ ამ გზით“.

სააკაშვილის სიტყვებით, მისმა პარტიამ ბევრი რამ გაიკეთა ქვეყანაში ისეთი სისტემის ასაგებად, რომლის დროსაც ხელისუფლების შეცვლა ხდება არჩევნების გზით.

პრეზიდენტმა გამოთქვა შიში, რომ ახალი ხელისუფლება მზად არის გასწიროს პროდასავლური კურსი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საპასუხოდ. „საქართველოს შესვლა ნატოში შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩეს“, — განაცხადა პრეზიდენტმა და შეახსენა აუდიტორიას პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელი განცხადება ერევანში, როდესაც მან დაასახელა სომხეთი, რომელიც წარმატებით ამყარებს ურთიერთობას დასავლეთთანაც და რუსეთთანაც, და რაც მიბაძვის ღირსია. როდესაც გამოხატა თავისი პატივისცემა სომხეთისადმი, სააკაშვილმა ამავე დროს განაცხადა: „ვფიქრობ, რომ ქართველ ხალხს ხმა არ მიუცია ამ სახიფათო გზის შეცვლისთვის“. პირობითად, გამოსვლის მეორე ნაწილი სააკაშვილმა დაასრულა თხრობით ზემოქმედების შესახებ, რომლის პირობებშიც ახალი მთავრობა აყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და ოპოზიციას.

სააკაშვილის გამოსვლის მესამე ნაწილს შეიძლება მივაკუთვნოთ მისი პასუხებიც გამოძიების ჩამტარებელი დეპუტატების შეკითხვაზე, მათ შორის, რუსეთის დეპუტატებზეც და ეს ნაწილი მიეძღვნა „ჩრდილოელ მეზობელს“. „რუსეთმა უარი უნდა თქვას თავის ამბიციებზე და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობაზე, მისცეს მათ შესაძლებლობა — თავად გახდნენ წარმატებულები, თავად გააკეთონ არჩევანი და რუსეთმა არ შეუშალოს მათ ხელი განვითარებაში. ასეთ შემთხვევაში რუსეთი მხოლოდ მოიგებს. ჩვენ ყოველთვის გვსურდა ჩვენი ქვეყნის დაცვა, მაგრამ არ გვინდოდა ასეთი ზიანი მიგვეყენებინა ურთიერთობებისთვის ისე, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ამ ურთიერთობათა აღდგენა“, — თქვა სააკაშვილმა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა აკაკი მინაშვილმა დიდი შეფასება მისცა პრეზიდენტის გამოსვლას და გამოთქვა იმედი, რომ იგი იქნება ჩამომყალიბებელი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალ დადგენილებაში საქართველოს შესახებ, რომლის მიღებაც დაგეგმილი იყო სამშაბათისთვის. საქართველოს დელეგაციის წევრები „ქართული ოცნებიდან“, პირიქით, ვერ მალავენ თავიანთ გაწბილებას სააკაშვილის განცხადებების გამო, რომლებიც შეეხება საშინაო პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში.

НЕЗАВИСИМАЯ

დედამიწის ზურგზე

ცნობა გამანადგურებლის შესახებ, რომელმაც ძაბულის თავზე „გადაიტაცა“ ბოინგ-767 ასობით რუსეთელით, შეაშფოთა რუსეთის საელჩო

რუს დიპლომატებს ეჭვი ეპარებათ ცნობის სიმართლეში, აღნიშნავენ, რომ ავღანეთს არ აქვს გამანადგურებლები. თუმცა, ასეთი მანქანები ჰყავთ შეიარაღებაში უშიშროების ხელშეწყობის უცხოელ ძალებს. წყაროები ამტკიცებენ, რომ თვითმფრინავის მგზავრებმა დაინახეს სამხედრო თვითმფრინავი ილუმინატორებში.

* * *

პოლიციელმა საყოველთაო პანიკის დროს გადაარჩინა ძალი, რომელიც ჩავარდა მადრიდის მეტროს რელსებში

51 წლის ქალის მოულოდნელმა ჩავარდნამ რელსებში პანიკა გამოიწვია მგზავრებს შორის პლატფორმაზე, და აღმოჩნდა მხოლოდ ერთი კაცი, რომელმაც გაბედა ჩამხტარიყო რელსებში, რათა იქიდან გამოეყვანა უბედური. გადამრჩენელი აღმოჩნდა პოლიციელი, რომელიც არ ასრულებდა თავის მოვალეობას ამ დროს, თუმცა, მის ანგარიშზე არის სხვა გმირობაც — მაგალითად, მან გადაარჩინა ოთხი წლის ბავშვი, რომელიც იხრჩობოდა.

* * *

არჩევნების შედეგები ისრაელში: ლიდერი პარტიების მეთაურებმა მოუწოდეს ფართო კოალიციისკენ

ხმების 99,8 პროცენტის დათვლის შედეგად ძალთა შეფარდება მარჯვენა და მარცხენა ცენტრისტულ ბანაკებს შორის პარლამენტში ადგილების ოდენობის მიხედვით არის 60:60-ზე. ახალგაზრდა პოლიტიკოსმა იაირ ლაპიდმა, რომელიც კნესეტში რიცხოვნობის მიხედვით მეორე გახდა, განაცხადა, რომ ხალხი მოითხოვს ეროვნული ერთიანობის მთავრობას.

* * *

პროდიუსერმა მელაძემ იკისრა მის მიერ გატანილი უკრაინელი ძალბატონის შვილების რჩენა

თუმცა დაღუპული ანა პიშჩალოს ნათესავებმა უარი განაცხადეს პრეტენზიებზე მუსიკალური პროდიუსერის მიმართ, მიუთითებენ მხოლოდ ღვთის ნებაზე, თავად კომპოზიტორმა კი უკვე გადაურიცხა დაღუპულის ოჯახს 30 ათასი დოლარი, დაპირდა, რომ მომავალში იზრუნებს ქალბატონის ბავშვების ჩაცმასა და კვებაზე. უკრაინელი გამომძიებლები დაჟინებით მოითხოვენ მის დაპატიმრებას. ვარსკვლავს ელოდება ციხე 8 წლამდე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი
სესხის № 7802-GE
პროექტის № P117152
დავალების სახელწოდება: ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და სატენდერო დოკუმენტაციის (დაპროექტება, მშენებლობა) განახლება სასადილო-სიონის გზის კმ-0-კმ17 მონაკვეთისათვის
კონტრაქტი/RFP № KRRIP/CS/CQS-03
საიდენტიფიკაციო № KRRIP PP, პუნქტი №7“

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტისათვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **„ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და სატენდერო დოკუმენტაციის (დაპროექტება, მშენებლობა) განახლება სასადილო-სიონის გზის კმ-0-კმ17 მონაკვეთისათვის“.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის რესურსები და კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნას იმ თანამშრომელთა მოკლე შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც შემოთავაზებულია დავალების შესასრულებლად და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები“) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?que=eng/tenders/international&info=1288.

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებში – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) მოცემული კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის თანახმად.

წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე განისაზღვრება მოკლესია და უმაღლესი შეფასების მქონე კონსულტანტებს სთხოვენ ტექნიკური და ფინანსური წინადადების წარმოდგენას.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2013 წლის 08 თებერვლის 17:00 საათისა**.

სახელი: ირაკლი მურღულია
თანამდებობა: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი.

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995-322-37-05-08 დამ. 299
ფაქსი: +995-322-31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

◎ შორეული ახლობელი

ბაირონობა ქართულად,

ანუ „გაჯორჯიებული“ ჯორჯი

225 ჩემთვის ლამაზი საიუბილეო ციფრია. ამდენი წელი გავიდა მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი თვალუწვდენი და მაინც თვალწარმტაცი მწვერვალის, ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონის დაბადებიდან; და ეს საერთაშორისო მნიშვნელობის თარიღი შთამბეჭდავად აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, გენიალური კალმოსნის სახელის პატივისმიმგებთაგან პირთამდე სავსეში; კალმოსნისა, რომელმაც უკანასკნელ ლექსს „დღეს 36 წლისა გავხდიო“ დაარქვა და ისე განუტევა ბობოქარი სული საბერძნეთის მრავალტანჯულ მიწაზე განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმულმა და ციებაშეყრილმა...

შთამბეჭდავად აღნიშვნა კი, პირველ ყოვლისა, პროფესორ ინესა მერაბიშვილის დამსახურებაა — თარგმნის თეორიის თვალსაჩინო სპეციალისტისა, თავადაც ჩინებული მთარგმნელისა და პოეტისა, რომელმაც აგერ მერამდენედ გამოამჟღავნა საგულისყურო ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზების მისაბაძი უნარ-ჩვევა. აქვე სათქმელად: მას ღირსეული პარტნიორობა გაუწია თანაწამყვანმა, ცნობილმა „ამერიკელმა ქართველმა“ ან „ქართველმა ამერიკელმა“ — როგორც გნებავთ — ნუგზარ რუხაძემ...

„აგერ მერამდენედ“-მეთქი, ჰაერზე როდი მითქვამს: მკითხველს შევახსენებ, რომ შარშან, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ქალბატონმა ინესამ ბრწყინვალედ წარმოაჩინა „გაინგლისურებული“ გალაკტიონი და შარშანვე, საქართველოს ბაირონის საზოგადოების ეგიდით, გამოაქვეყნა საყურადღებო წიგნი „გალაკტიონის Mari“, სადაც ასეთ თავსაც შეხვდებით — „ბაირონი გალაკტიონის შემოქმედებაში“!.. წლეულს კი, 22 იანვარს, „პირიქით — ბაირონი წარმოგვიდგინა „გაქართულებული“ (მე პირადად, გაოცებით შევიტყვე, რომ დიდი ინგლისელი კინაღამ საქართველოშიც ჩამოსულა და ნათელი შეხედულებისა ყოფილა ქართველი ქალის სილამაზეზე).

იყო, ბევრი რამ იყო ამ საიუბილეო შეკრებაზე გამოსარჩევი: მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმი ჯორჯ ბაირონსა და... ინესა მერაბიშვილზე (რომელიც უკვე ბევრნაირადაა მიკავშირებული დიდ სახელთან, კერძოდ, მთარგმნელის რანგშიც); ოღონდ დასანანია, რომ გახმოვანება რატომღაც ჯეროვან დონეზე ვერ აღმოჩნდა; დიდი ბრიტანეთის ელჩის მიწვევა სცენაზე, რომელმაც ინგლისურად წაგვიკითხა „დღეს 36 წლისა გავხდი“, რაც იქვე გადმოთარგმნა ქართულად ქალბატონმა ინესამ; შემდგომი სინქრონული დეკლამირება იუბილარის ლექსებისა — ინგლისურად ნუგზარ რუხაძისაგან (უნდა ვიცოდეთ, რომ დარბაზში სხვა ქვეყნების ელჩებიც ისხდნენ და საერთოდ, მცირე როდი იყო ინგლისურენოვანი აუდიტორია), ქართულად — ინესა მერაბიშვილისაგან; როიალსა თუ ვიოლინოზე კლასიკური მუსიკის შესრულება — დვორჟაკი, ლისტი, შოპენი, შუმანი, დიდ-პატარა ვირტუოზთა შესრულებით; ეკრანიზებული ბაირონიანი ფოტოები და სურათები; და შესანიშნავი შეკრების შესანიშნავი დამაგვირგვინებელი აკორდი — ცრემლების მომგვრელი (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის), პროფესიონალი ტენორ-სოპრანოების ნამღერი „სუფრული“ ვერდის „ტრავიატადან“ — „სულ მაღლა ავწიოთ სავსე თასები“..., რასაც მთელი დარბაზი რიტმულად აჰყვა...

ყვავილებით, თაიგულებით, მილოცვებით აავსეს საღამოს „დიუფალი“ — ქალბატონი ინესა... ასეა ეს — განა ყველა მერაბიშვილი საუბგე არი, განა ყველა რისხვის სიტყვით დაიშანთა...

ამჟამინდელი საქართველო კი, დასავლეთის — ევროპაა თუ შტატებია — თითის საქნევი გამხდარა, მაგრამ ის ქვეყანაცაა, სადაც ბაირონის საზოგადოება არსებობს და ცხოველმყოფელობს, სადაც დიდი სახელების ფასი ზოგჯერ ეგებ იმავე ევროპა-შტატებზე უკეთაც იციან...

თამაზ ეგანოიძე

◎ ინფორმაცია

იანვილის კლინიკაში მწვავე რესპირატორული ვირუსების შემთხვევებით მიმართვიანობა გაიზარდა

როგორც კლინიკის სამედიცინო დირექტორმა ივანე ჩხაიძემ განაცხადა, ბოლო დღეებში მწვავე რესპირატორული ვირუსების რაოდენობა გაზრდილია.

ივანე ჩხაიძის თქმით, ყოველდღიურად კლინიკას ორმოცდაათზე მეტი პაციენტი აკითხავს, მათ შორის არიან ჩვილი პაციენტები, რომლებსაც ფილტვების ანთებაც აქვთ.

— კლინიკაში ამ დროისთვის 50-მდე პაციენტი რჩება. სტატისტიკის მიხედვით, ბოლო დღეებში მომართვიანობა გაიზარდა. მწვავე რესპირატორული ვირუსის საშუალო სიმძიმის შემთხვევებია. რამდენიმეს პნევმონიაც დაუდგინდა. პატარა პაციენტებს მაღალი სიცხე, თავის და ყელის ტკივილი, ცხვირიდან გამონადენი და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლა აღენიშნებათ, — განაცხადა ჩხაიძემ.

მისივე ინფორმაციით, ყველა პაციენტს უტარდება ანალიზი და მათ შორის მხოლოდ რამდენიმე მათგანს დაუდგინდა H3 გრიპის ფორმა. როგორც ექიმები აცხადებენ, მწვავე რესპირატორული ვირუსის პიკი საქართველოში თებერვალში დაიწყება და მარტის შუა რიცხვებამდე შენარჩუნდება. მარტის ბოლოდან კი მწვავე რესპირატორული ვირუსის შემთხვევების დინამიკა დაიკლებს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ფიგურული ციგურაობა

ელენე გედევანიშვილი ევროპის ჩემპიონატზე ისრიალებს

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, სადაც სხვებთან ერთად ქართველი მოციგურავეებიც გამოდიან.

ევროპირველობაზე გუშინ **ოთარ ჯაფარიძისა და ანგელინა ტელეგინას** მოცეკვავეთა წყვილმა ისრიალა, ხოლო ხვალ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს ორგზის პრიზიორი **ელენე გედევანიშვილი** შეჯიბრებაში მოკლე პროგრამით ჩაერთვება.

შეგახსენებთ, რომ ოთარ ჯაფარიძე დიდი ხნის მანძილზე ამერიკელ ალისონ რიდთან ერთად ქმნიდა დუეტს და მათ ვანკუვერის ოლიმპიადაზეც მოსინჯეს ძალები, თუმცა 2011 წელს ეს წყვილი დაიშალა და ახლა ქართველი მოციგურავე ანგელინა ტელეგინას დაუწყვილდა. ელენე გედევანიშვილს ამჟამად ბრაიან ორსერი ავარჯიშებს.

მწვრთნელმა და შეგირდმა ევროპის ჩემპიონატისთვის ახალი მოკლე და თავისუფალი პროგრამები — ჯონ უილიამსის „შინდლერის სია“ და ლეონ მინკუსის „დონ კიხოტი“ მოამზადეს, რამაც გულშემატკივრებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

კონტინენტის პირველობაზე ქართველი მსაჯიცაა წარმოდგენილი — ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **სალომე ჩიგოგიძე.**

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჭადრაკი

ზურაბ აზმაიფარაშვილმა და გია გიორგაძემ სამინისტროში პრესკონფერენცია გამართეს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ სამინისტროში ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

მისი მთავარი თემა სომხეთის ქალაქ წახკაძორში გამართული ფიდეს (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია) საპრეზიდენტო საბჭოს სხდომა იყო, რომელსაც სხვადასხვა ფედერაციების ოფიციალურ დელეგაციებთან ერთად სომხეთის პრეზიდენტი **სერჟ სარქისიანიც დაესწრო**.

სხდომაზე საქართველომ ოფიციალური განაცხადი გააკეთა 2015 წელს თბილისში დაგეგმილი 16-წლამდელთა საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობის შესახებ. ასაკობრივი ოლიმპიადის 2015 წელს ჩატარების ერთ-ერთი მოტივაცია ისიცაა, რომ თბილისი 2015 წელს ევროპის ბავშვთა ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობს.

ფიდეს საბჭოს გადაწყვეტილებით, 16-წლამდელ მოჭადრაკეთა ოლიმპიადა 2015 წელს თბილისში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივი კატეგორიის საჭადრაკო ოლიმპიადა საქართველოში პირველად ჩატარდება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფეხბურთი

მასპინძლებს ისევ მოვუგეთ

საძართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა ბელარუსის დედაქალაქ მინსკში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მეორე შეხვედრა ჩაატარა და გაიმარჯვა. გიორგი დევდარიანის გუნდმა შეჯიბრების მასპინძელი ბელარუსის ნაკრები ილია კერძევაძის და ლუკა ზარანდიას გოლებით 2:0 დაამარცხა.

პირველ ტურში ქართველმა 17-წლამდელებმა ბელგიასთან დაძაბული თამაში 2:3 წააგეს, თუმცა ბელარუსთან გამარჯვების წყალობით ფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნეს. გადამწყვეტ შეხვედრაში მონაწილეობისთვის საქართველოს ნაკრებმა აუცილებლად პირველი ადგილი უნდა დაიკავოს, ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩვენი გუნდი ლიტვას მოუგებს, პარალელურ თამაშში კი ბელარუსი ბელგიას დაამარცხებს.

ცნობისათვის: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბელარუსი თანატოლები შარშანაც დაამარცხა - 2012 წლის 22 იანვარს ვასილ მაისურაძის ფეხბურთელებმა 4:3 გაიმარჯვეს, საბოლოოდ კი ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავეს.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

„ოლიმპი“ - მემორიალის ოლიმპზე



მემორიალის გამარჯვებული „ოლიმპი“ გახდა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ხსოვნის ტურნირის ფინალში „რუსთავი“ დაამარცხა.

სპორტის სამინისტროს გუნდმა მეტოქეს ისე მოუგო, წარმატების შანსი არ მიუცია — 80:67.

„ოლიმპისთვის“, რომელსაც მხოლოდ ორწლიანი ისტორია აქვს, ეს პირველი ტიტულია. სუპერლიგის გასული სეზონის ფინალისტმა აღმავლობით ჩაატარა მემორიალი, ყველა მატჩი დამაჯერებლად მოიგო და ფინალშიც დაამტკიცა თავისი კლასი. პირველ მეოთხედში შედარებით თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და გუნდები ძირითადად შორი ტყორცნებით ხეირობდნენ, რაშიც უფრო ზუსტები ოლიმპელები აღმოჩნდნენ და ათწუთეული 23:16 მოიგეს.

რუსთაველებმა ყველაზე შედეგიანად მეორე მეოთხედში ითამაშეს, რომელიც 21:18 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა ოთხ ქულამდე შეამცირეს. მეორე ტაიმში ოლიმპელებმა ტემპს და სიზუსტეს უმატეს და უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდეს. შეუჩერებელი იყო სერბი ლეგიონერი სტეფან მილოშევიჩი, რომელმაც 17 ქულასთან ერთად ტურნირზე უმეტესი 20 მოხსნა მოაგროვა. გადამწყვეტ მომენტში მნიშვნელოვანი ბურთები ჩააგდო მიხეილ ბერიშვილმა, რომელსაც უკანა ხაზიდან ზურგს სტენ სოკი და ლევან ფაცაცია უმაგრებდნენ.

ბოლო პერიოდში ოლიმპელთა ლიდერობა 6-10 ქულის ფარგლებში მერყეობდა, რაც არაა ბევრი, თუმცა კაზანჯიანის გუნდი სტაბილურად ინარჩუნებდა მოპოვებულ უპირატესობას და გამარჯვებამდეც ისე მივიდა, რუსთაველებს წარმატების შანსი არ მისცემიათ.

სტუმართაგან მიხეილ ჭოჭუამ იყოჩაღა — 22 ქულა.

ტურნირზე დაწესებული იყო ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის პრიზები საუკეთესო წინა და უკანა ხაზის მოთამაშეებისთვის. მემორიალის საუკეთესო მოთამაშეებს — მიხეილ ბერიშვილსა და სტეფან მილოშევიჩს სპეციალური პრიზები კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრებმა, ვეტერანმა კალათბურთელებმა გივი ბიჭიაშვილმა და ვალერი ლომაძემ გადასცეს. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ოლიმპელთა კაპიტან ბერიშვილისთვის თასის გადაცემითა და ფეიერვერკით დასრულდა. გამარჯვებულებს თასი ვეტერანმა კალათბურთელმა, კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრმა და მიხეილ ქორქიას ნათესავმა ნოდარ ქორქიამ გადასცა.

ზურაბ საკანდელიძე-მიხეილ ქორქიას მემორიალის ყველა ფინალის ტექნიკური შედეგი:

2006 წელი. 20 იანვარი
„რუსთავი“ — სტუ 106:77.
2007 წ. 21 იანვარი
„ენერჯი-ინვესტი“ — თსუ 95:75.
2008 წ. 18 იანვარი
„თბილავიამშენი“ — „ენერჯი-ინვესტი“ 80:78
2008 წ. 24 დეკემბერი
„ენერჯი-ინვესტი“ — ნტდ-„თბილისი“ 91:60.
2010 წ. 17 იანვარი
„ენერჯი-ინვესტი“ — „შსს აკადემია“ 75:58.
2011 წ. 21 იანვარი
თსუ — „სოხუმი“ 102:86.
2012 წ. 20 იანვარი
„არმია“ — „შსს აკადემია“ 99:83.
2013 წ. 22 იანვარი
„ოლიმპი“ — „რუსთავი“ 80:67.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

ვიზიტი ირლანდიაში

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე და სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ხურციძე ამ დღეებში ოფიციალური ვიზიტით ირლანდიაში იმყოფებოდნენ.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, ერთის მხრივ, რაგბის საერთაშორისო საბჭოში შეხვედრების გამართვა, ხოლო მეორეს მხრივ — „Emerald Cultural Institute“-სთან ერთად დუბლინის სარაგბო კოლეჯების მონახულება და მათთან თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.

მიღწეული შედეგებიდან აღსანიშნავია:

საბოლოოდ დამტკიცდა საქართველოს რაგბის კავშირისათვის გამოყოფილი სანაკრებო გრანტის ოდენობა, რომელიც წელიწადში 150000 გირვანქა სტერლინგით გაიზარდა. შეთანხმებისამებრ, ეს თანხები მოხმარდება ეროვნული სარაგბო აკადემიისთვის უცხოელი ფიზმომზადების მწვრთნელისა და ფიზიოთერაპევტის მთელი წლით მოწვევას; ასევე საშუალება გვექნება საქართველოში ჩამოვიყვანოთ უცხოელი მსაჯები, შევიძინოთ ვიდეოანალიზის და მონაცემთა ბაზების სამართავი პროგრამები, ტექნიკური აღჭურვილობა და ა.შ.

დადასტურდა ჩვენთვის ელიტური დონის რაგბის კავშირის სტატუსის მონიჭებაც (იმ პირობით, რომ ამ სტატუსს სრკ შეინარჩუნებს მხოლოდ იმ ოთხწლეულში, როდესაც მისი ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე გადის).

გადაწყდა თბილისში ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირის ჩატარება. 2013 წელს ეს ახალი ტურნირი გაიმართება 3-17 ივნისს (სათამაშო დღეები: 7, 11 და 16 ივნისი; 2 თამაში დღეში; მონაწილე გუნდები: საქართველო, ირლანდია „ა“, იტალია „ა“, პორტუგალია ან ესპანეთი).

გარდა ამისა, შედეგი გამოიღო სრკ-ს მრავალწლიანმა მცდელობამ და გადაწყდა, რომ ნაკრების მაისურზე დასატანი სპონსორების ლოგოების რაოდენობა იზრდება, რაც სრკ-ს საშუალებას მისცემს მეტი სპონსორი მოიზიდოს ქართულ რაგბიში.

იყო ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა ირლანდიის რაგბის კავშირში; შედგა მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ ირლანდიის რაგბის კავშირი იღებს ვალდებულებას შეიმუშაოს საქართველოში მსაჯობის სფეროს განვითარების სპეციალური პროგრამა და რამდენიმე წლის განმავლობაში მოახდინოს ამ პროგრამის განხორციელების კურირება; მოავლინოს ჩვენთან თავისი სპეციალისტები, მოამზადოს ქართველი მსაჯები, ხოლო მოკლევადიან პერსპექტივაში — წლევანდელი ჩემპიონატის დაწყებისთანავე დაეხმაროს სრკ-ს უცხოელი არბიტრების მოზიდვით, რომლებიც იმსაჯებენ და იმავდროულად აამაღლებენ ადგილობრივ მსაჯთა კვალიფიკაციას.

რაც შეეხება „Emerald Cultural Institute“-ს, მან მოაწყო სრკ-ს წარმომადგენელთა ვიზიტი დუბლინის 6 სარაგბო კოლეჯში. ეს შეხვედრები მეტად საინტერესო გამოდგა; დაისახა თანამშრომლობის პერსპექტივა რამდენიმე მაღალი დონის სარაგბო კოლეჯთან. ოქტომბერში St. Michael's College-ს 19-წლამდელთა გუნდი ეწვევა თბილისს და გამართავს მატჩს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან. ასევე განიხილება სხვა ერთობლივი პროექტებიც.

გეჟან დოლიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წიგნის თარო

ხიბლის იდუმალება

სიტყვა გარი კალამკაროვის პოეტურ კრებულზე

„პოეზია კარიბჭეა მიწიერსა და ღვთაებრივს შორის. არსთგამრიგე რჩეულებს უბოძებს ხოლმე ამ ღვთაებრივ გასაღებს. და ეს ზეგარდმო მადლით ცხონებულნიც დაუღალავად, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იღვწიან, რათა სტრიქონ-ხილვებით გამოწვეული განცდები სხვა ადამიანებთან მიიტანონ. გარი კალამკაროვის შემოქმედება სწორედ დაუღალავი ძიებაა ღვთაებრივი გასაღებისა“, — ვკითხულობთ ხვიჩა ყალიბეგაშვილის წინასიტყვაობაში, და მთელი კრებულის გაცნობისთანავე ვრწმუნდებით, რა მართალია წინასიტყვაობის ავტორი.

პოეტი თავის მთავარ სათქმელს მკითხველს გულის გულიდან აწვდის:

არაქართველს ნუ მიწოდებთ,
ღვთისგან ბოძებულ ენაზე...
არაქართველი არ ითქმის
ქართულად გაზრდილ
ლერწამზე...

ტომით სომეხი პოეტი ქართულად მღერის:

ანათებს სხივი მთვარისმიერი,
ხალხს რომ სულებში
ჩაედინება, —
გალაკტიონის განცდა ძლიერი
და გრიშაშვილის
აღფრთოვანება.

აღსანიშნავია, რომ მისი ლექსები პირველად თარგმნა სომხურ ენაზე და გამოაქვეყნა ალმანახ „ხიდში“ ცნობილმა სომეხმა პოეტმა და მთარგმნელმა ანაიდ ბოსტანჯიანმა, რამაც სტიმული მისცა მას შემდგომი მუშაობისთვის, და რაოდენ სასიამოვნოა, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გამოცემულ ანაიდ ბოსტანჯიანის ლექსების კრებულში, გარდა გამოჩენილი პოეტების მაყვალა გონაშვილისა და გივი შახნაზარის მიერ ნათარგმნ ლექსებთან ერთად ავტორმა გარის მიერ ნათარქმნი ლექსიც შეიტანა:

თითქოს უფსკრულში
მივექანები,
სიბოროტეს რომ ვყნოსავ,
ხალხნო, მიყვარხართ!
მე ხომ თქვენი ვარ!
სიყვარული შობს მგოსანს!

მიხეილ გიჟიმყრელი,
რეჟისორი, თეატრმცოდნე და სცენარისტი.

„კვლავ გურული ექსცენტრიადები“

ნებისმიერი წიგნის გამოსვლა მისი ავტორისათვის ახალი სიცოცხლის დასაწყისს ნიშნავს, მკითხველისათვის კი ახალ სამყაროში შესვლას. თუ რამდენ ხანს ისურვებს ამ სამყაროს გათავისებას წიგნისმოყვარული, ეს ავტორზეა დამოკიდებული.

სულ ახლახან ხელთ ჩამივარდა მეტად მოკრძალებული გაფორმებით გამოცემული წიგნი (მხატვარი **ანა ხომასურიძე.** გამომცემლობა შპს **„ფავორიტი პრინტი“) „წიალი ჩემი და წრიალი სულის, ანუ კვლავ გურული ექსცენტრიადები“.** წიგნის ავტორი ქალბატონი **ნარგიზა თოდრია** გახლავთ. გულახდილად ვიტყვი, ერთი კვირა ვკითხულობდი ამ მემუარისტულ-პუბლიცისტურ რომანს და გული დამწყდა, რომ ჩავათავე, იმდენად საინტერესო და გულშიჩამწვდომია ეს სამასგვერდიანი წიგნი, რომ თუ მკითხველი ჩემს გემოვნებას ენდობა, იგი მართლაც სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს მათთვის, ვისაც საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, იუმორის სამშობლოს — გურიის ცხოვრებით და ჩვენი ქვეყნის გასული საუკუნის ყოფითაა დაინტერესებული.



ხალასი იუმორით, სევდანარევი მოგონებებითაა დაწერილი წიგნი და ავტორს მთელი მეოცე საუკუნე ისე გადაუშლია ხელისგულზე, რომ მართლაც წაკითხვისა და აღტაცების გამოხატვის მეტი არაფერი დაგრჩენია. ეგნატე ნინოშვილისა და ნოდარ დუმბაძის შემდეგ ამ კუთხის ასე ლამაზად წარდგინება თავისი ავკარგიანობით პირველად ქალბატონმა ნარგიზა თოდრიამ შეძლო.

„ეს წიგნი იბადებოდა გასული საუკუნის მიწურულს, მზეზე გამოსვლას ძლივს ახერხებს ახლა, 21-ე საუკუნის დასაწყისში, ამიტომ შეუნდე დროში დისონანსი, გულისხმიერო მკითხველო“. „ასე იწყებს ავტორი ცოტა პროლოგივით, ავანსად თქმულ შესაპატიჟებელ კარს და ამ წარდგინებას დიდი გოგლას ნათქვამს წარუმძღვარებს „გურია საქართველოს ევროპაა“.

გურული სიტყვა-თქმანი, ენაკვიმატობანი, სიბრძნე-გამოცდილებანი ისე ლამაზად გასდევს მთელ რომანს, რომ გეძნელება სადმე შეწყვიტო კითხვა. ყოველდღიურ ყოფას, ისტორიასა და პოლიტიკას, რომელიც ყოველთვის თან სდევს ქართველ კაცს და, მით უმეტეს, გურულებს, რომლებიც ყოველივე ახლისა და უცხოს პირველამტაცებლები იყვნენ, ამ წიგნშიც ვერ აუვლი გვერდს.

„გურულები ღვიძლი მშობლებივით მიეგებნენ საიდანლაც ჩამოთესლილ რევოლუციას და „ზორბა“ წვლილი გაიღეს იმაში, რათა მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ ზღვა-ხმელეთზე ისტორიისთვის ახალი, მანამდე უცნობი ქვეყანა აშენებულიყო, შემდგომ დიდად არც თავად რომ აღარ ეპიტნავათ და მისი ამოყირავებაც სცადეს, მაგრამ ამაოდ! რევოლუციისაგან ჩამოსხმული ალკეოსებთან აღარ გაუვიდათ ის, რაიც ნიკოლაოზთან გაუდიოდათ. რაღა მეტი გზა ჰქონდათ! — შეძვრნენ საკუთარ ქერქებში და თავიანთ თავებზე ანეკდოტების თხზვა დაიწყეს“. — წერს შესავალში ავტორი და ამგვარი ფილოსოფიური, მაგრამ სხარტი, გურულებს რომ სჩვევიათ, ისეთი ლაზათით წერს მთელ წიგნს. სწორედ ამ დროიდან იწყება მოგონებათა კრიალოსანი, ბევრი თავად ნანახ-განცდილი, ბევრი წინაპართაგან და ახლობელთაგან მონათხრობი, და ასე მოდის დღევანდლამდე.

„წერა წიგნისა გასული საუკუნის მიწურულიდან დავიწყე, მაგრამ ფინანსური უსახსრობის გამო გამოქვეყნება დღემდე ვერ მოვახერხე. მართალია, ნაშრომი ძირითადად მოგონებებს ეყრდნობა, მაგრამ პუბლიცისტური მსჯელობის სახით ეხმაურება თანამედროვეებსაც... მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გადავაფასე, წიგნში მაინც არაფერი შევცვალე. არ შეცვალე, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ დაე იცოდნენ, რას ვფიქრობდი მაშინ, მეორეც კიდევ იმის გამო, რომ შეცდომების არ მეშინია“...

ქალბატონ ნარგიზას მიერ განსჯილი და სამზეოზე გამოტანილი კრიტიკული დამოკიდებულება თანამედროვე პოლიტიკოსების „საქმენი საგმირონი“ მართლაც დამაფიქრებელი და ბევრ შემთხვევაში მისაღებია. იგი პირდაპირობით, ყოველგვარი შელამაზებისა და „პოლიტიკური დიპლომატიის მანტიის“ შემოძარცვით გვაჩვენებს მათ მიმართ დამოკიდებულებას. რას ფიქრობს ხალხი მათზე, ხალხი და არა დასავლეთი, და ოკეანისგაღმელი კეთილისმსურველი. სწორედ ამას იყენებს ავტორი ყოფილი თუ ახლანდელი პრეზიდენტების, პოლიტიკოსებისა და მაღალჩინოსნების პორტრეტების ხატვისას.

წავიკითხე წიგნი და იმედი არ დამეკარგა კიდევ ერთი სიამოვნების მიღებისა, რადგან ავტორს ბოლო გვერდზე წვრილი შრიფტით მიუბეჭდავს „პირველი წიგნის დასასრული“. იმედია გამოჩნდება ვინმე ქველმოქმედი, რომ მკითხველს მართლაც მისცეს შესაძლებლობა კიდევ ერთხელ ეზიაროს კარგი ლიტერატურული ქართულით (ავტორი ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი პედაგოგი გახლდათ), გურული იუმორითა და მიუკერძოებლობით დაწერილ შეფასებას ჩვენი ყოფისა საუკუნეთა გზაგასაყარზე, ღირებულებათა გადაფასების პერიოდში.

მამუკა ვაშაკიძე

სანთელი

გურამ საღარაძე

გურამ საღარაძე ყველა ქართველის საყვარელი მსახიობი, არაჩვეულებრივი ადამიანი და მეგობრობის სიმბოლო გახლდათ. ამის თქმას მისი უახლოესი მეგობრის, ქალაქში ცნობილი კაცური კაცის ომარ ცაავასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ეპიზოდი მეტყველებს. იგი როგორც ტოტებდალეწილი ბერმუხა ისე შეეგება ამ ახლო წარსულში ჩვენში მძვინვარე უტიფრობას, უსამართლობას და მისი უახლოესი მართალი მეგობრის — მეწარმის სატკივარი (პროვოკაცია) გულთან მიიტანა. მის კოლეგებს მოგვეფერა. არ დაგვავიწყდება ჩვენთან შეხვედრა და გამოხატული სითბო. გული სიამაყით გვევსებოდა მასთან, ჯემალ ღაღანიძესთან ურთიერთობით და მიღებული გულისხმიერებით.

ღმერთმა აცხონოს ამ არაჩვეულებრივი ქართველი კაცისა და დიდი მსახიობის სული.

ქართველი მეწარმეები:
მ. დოლიძე, გ. ლეკიშვილი, გ. მეტრეველი, ა. ნინუა, ა. მარიამიძე, ლ. გაგუა, ზ. ნადარაია, რ. მაღრაძე.

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ვილენ მარდალეიშვილი, თამარ შაიშმელაშვილი, მამუკა ვაშაკიძე თანაუგრძნობენ მეგობარსა და კოლეგას ლია მეტრეველს სიძის

გია გოგალაძის

გარდაცვალების გამო.

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი პათოლოგანატომი, სამეცნიერო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი დანელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გიორგი, თემურ, მამუკა ხაზარაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ახლო მეგობრის მელორ ტყეშელაშვილის ძმის, ღირსეული მამულიშვილის

კარლო ტყეშელაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი უსამძიმრებს ქალაქის ყოფილ ვიცე-მერს მელორ ტყეშელაშვილს

ძმის

გარდაცვალების გამო.

გურამ ახალაია, ბიძინა სონღულაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ბატონ მელორ ტყეშელაშვილს ძმის

კარლო ტყეშელაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ თამაზ და მეგი პაიჭაძეებს დედისა და დედამთილის

ქეთევან ანდრიას ასული ანთიძე-პაიჭაძის

გარდაცვალების გამო.

„დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საქ. ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ქალბატონ ქეთევან გაბრუაშვილს ძმის

ვალიკო გაბრუაშვილის

გარდაცვალების გამო.

ეთერ, ალეკო კაკულიები, ნინო ბეჟიტაშვილი, ლია ჩაჩავა თანაუგრძნობენ დოდო, ლალი, ბაჩი ჩაჩავებს ძვირფასი დედის

ლია კირთაძის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

ხიზანიშვილი უგულავამ მოადგილედ დაისვა

ზოთა ხიზანიშვილი თბილისის მერის მოადგილის პოსტზე დაბრუნდა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს.

ხიზანიშვილი სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა. სამსახურებრივი უფლებამოსილება მას წინასწარი პატიმრობის გამო დროებით შეჩერებული ჰქონდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი და თბილისის მერის მოადგილე შოთა ხიზანიშვილი პატიმრობიდან 35 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ 17 იანვარს გაათავისუფლეს.

პროკურატურა ხიზანიშვილს ცრუ დასმენას, პოლიტიკური პარტიის საქმიანობისთვის ხელის შეშლას, უკანონო მოსმენებსა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ედავებოდა.

ციხეები კიდევ 408 ამნისტირებულმა პატიმარმა დატოვა

სასჯელაღსრულების სამინისტროს ცნობით, ბოლო მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები სულ 1858-მა პატიმარმა დატოვა. მათ შორის 175 პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე იყო.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მომავლის ძახილი

გზა ბარნარდის ვარსკვლავისკენ

როგორც ჩანს, შორს არ არის ის დრო, როცა კაცობრიობა დატოვებს მშობლიურ მზის სისტემას და შორეული ვარსკვლავებისკენ გაემართება. ამის თაობაზე ცოტა ხნის წინათ მეცნიერებმა ტესასში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე განაცხადეს, სადაც სპეციალისტებმა მართლაც რომ საუკუნის ყველაზე გრანდიოზული პროექტი „ასწლიანი კოსმოსური ხომალდი“ (შემოკლებით 100YSS) განიხილეს.

— კოსმოსის ათვისების მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ გამოქვაბულის ადამიანის დონეზე ვართ, — განაცხადა 100YSS-ის ლიდერმა მეი ჯემისონმა. — კოსმოსის ათვისების მთავარ ამოცანად კოლონიების შექმნა უნდა იქცეს.



პროექტის ინიციატორია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მოწინავე თავდაცვითი კვლევითი პროექტების სააგენტო (DARPA). მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მისი ფრთაშესხმა უახლოეს 100 წელიწადში მოხდება.

ვარსკვლავთშორისი გადაფრენების იდეა დიდი ენთუზიაზმით აიტაცა ამერიკის ექსპრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, რომელიც სიმპოზიუმის საპატიო თავმჯდომარეობას დათანხმდა.

— იმის მიუხედავად, რომ ჩვენი კოსმოსური აპარატები მზის სისტემაში დიდი ხანია დაფრინავენ, სხვა ვარსკვლავებისკენ გაფრენა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, — გულდაწყვეტით თქვა მან. — საქმე ისაა, რომ უზარმაზარ მანძილეზე გაფრენა უდიდეს ტექნოლოგიურ პრობლემებს წარმოშობს, მაგრამ ჩვენ მათ აუცილებლად დავძლევთ!

საგულისხმოა, რომ პროექტს მხარს უჭერენ სახელმწიფო სტრუქტურებიც და ბიზნესმენებიც: მის განსახორციელებლად NASA-მ და DARPA-მ მილიონი დოლარი გამოყვეს, Google-ის თანადამფუძნებელმა ლარი პეიჯმა კი სულაც ორი მილიარდი დოლარი გაიღო!

დღესდღეობით არავინ იცის, თუ როგორი იქნება „ასწლიანი ხომალდი“, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი საბაზო მოდელი ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ბრიტანეთის საპლანეტათშორისო საზოგადოების მიერ დამუშავებული ვარსკვლავთმფრენი „დედალი“ გახდება, რომლის ზოგიერთმა ტექნოლოგიურმა და საინჟინრო მიგნებამ დროს დიდად გაუსწრო.

რაც შეეხება იმას, თუ საით გავფრინდებით, ყველაზე მეტად სავარაუდო მარშრუტია ბარნარდის ვარსკვლავი, რომლისგანაც 6 სინათლის წელი, ანუ 50 ტრილიონი კილომეტრი გვაშორებს. ასევე არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე დედამიწის მსგავსი პლანეტისკენ გავემართოთ — ასეთი კი უკვე 150-ზე მეტია აღმოჩენილი, თუმცა კი, ნებისმიერი მათგანის მისაღწევად საუკუნეზე მეტი ხნის ფრენაა საჭირო. ამიტომ მეცნიერები ახლა ისეთების ძებნაში არიან, რომლებიც ჩვენგან თუნდაც ორი სინათლის წლის მანძილზეა.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია თუ ვინ უნდა გაფრინდეს უცხო ვარსკვლავისკენ. ამ მხრივ არაერთი იდეა არსებობს, რომელთაგან ყველაზე გაბედულია გახმაურებული კინოფილმის „ავატარის“ მსგავსი კოსმონავტების ორეულების, ბიორობოტების შექმნა. **ისინი გაფრინდებიან, რა დროსაც „კლონები“ დედამიწაზე დარჩენილ ადამიანებთან კავშირში იმუშავებენ და მათ ბრძანებებს შეასრულებენ. ანდა, შესაძლოა, კოსმოსურ ფრენებში უკვე ნამყოფ, ან არნამყოფ კოსმონავტ-მოხალისეთა გუნდის შექმნა, რომელთა რიცხვმა მსოფლიოში სადღეისოდ ათას კაცს გადააჭარბა.**

ლალი ხუნდაძე

ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი ვარსკულავებიანი

რა ხდება საგარეო პოლიტიკის კულუარებში?

22 იანვარს თანამდებობიდან გადადგა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე, როგორც თვითონ განაცხადა, ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური კურსთან შეუთავსებლობის გამო.

...ამ ფონზე კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად მაია ფანჯიკიძის ნაცვლად ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეიძლება დაინიშნოს. ამ საკითხზე ირაკლი მენაღარიშვილი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: „ეს ხმები ყურით მოთრეული ჭორებია, რომელსაც არც საფუძველი აქვს და არც პერსპექტივა“.

„ყველა სიახლე“

მივიწყებული და იმედგაცრუებული კოორდინატორები

კოორდინატორები — ეს ის ხალხია, ვისითაც წინასაარჩევნო პერიოდში პარტიები აქტიურად სარგებლობენ. თუმცა, როგორც ირკვევა, საქართველოში მათ არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე ივიწყებენ.

კოორდინატორების მომსახურებით გასულ საარჩევნო წელს ძირითადად „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ სარგებლობდნენ. მათ ჯერ კიდევ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწყეს მუშაობა და ყოველთვიურად გარკვეულ თანხასაც იღებდნენ. თუმცა ორივე პარტიამ, საბოლოო ჯამში, თავიანთი კოორდინატორები იმედგაცრუებული დატოვა და არჩევნების შემდეგ მათთან კონტაქტიც გაწყვიტა.

„რეზონანსი“

მანანა კობახიძე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტს დატოვებს. გენერალური მდივანი დავით საგანელიძე გახდება?

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში, თავმჯდომარეს იცვლის. თებერვალში პარტიის ყრილობა ჩატარდება და სწორედ ამ ყრილობაზე ოფიციალურად დასახელდება ახალი თავმჯდომარე, რომელიც, დიდი ალბათობით, თავად ბიძინა ივანიშვილი იქნება. ვაკანტურია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობაც. კულუარებში ამბობენ, რომ ამ პოსტზე დავით საგანელიძის კანდიდატურა განიხილება.

„ვერსია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

— აუცილებლად გააძლიერეთ საწყობის დაცვა, რათა ქუჩიდან შემოსულმა მაწანწალებმა ჩვენი ძეხვეული არ მოიპარონ, — ეუბნება ახალი ხორცკომბინატის დირექტორი დაცვის უფროსს.

— უკვე გავაძლიერეთ. მაგრამ აი, გასასვლელში კი არანაირი დაცვა არ დგას. არადა, საჭიროა!

— რა არის საჭირო! ჩვენმა თანამშრომლებმა იციან რისგან მზადდება ჩვენი ძეხვეული და არ მოიპარავენ.

* * *

— თუ შეიძლება თაიგული მომეცით, — ეუბნება ახალგაზრდა ბიჭი ყვავილების მაღაზიის გამყიდველს.

— კი, ბატონო, ჩვენთან დიდი არჩევანია. რომელი თაიგული გინდათ?

— არც კი ვიცი...

— მაშინ ნება მიბოძეთ, დაგეხმაროთ. რის გამო იჩხუბეთ თქვენს გოგონასთან?

* * *

მოშე, რომელიც ხაიმს ესტუმრა, ხედავს რომ მაგიდას ძალიან შეუხედავი ქალი შლის.

— ხაიმ, ეს არის შენი ნაქები მოსამსახურე ქალი?

— შენ რა, სულელი გგონივარ? ასეთ მახინჯს ავიყვანდი მოსამსახურედ? ეს ჩემი ცოლია.

* * *

აბრამმა ცოლს საყვარელთან წაასწრო:

— სარა, ახლა ისღა გაკლია, რომ სიგარეტიც მოქაჩო და წმინდა წყლის მეძავი იქნები.

* * *

ახალდაძორწინებულები ჩხუბობენ.

— მაშ ასე, არა? ახლავე მივდივარ დედაჩემთან! — წივის ცოლი. მცირე პაუზის შემდეგ კი დასძენს: — და მასთან ერთად დავბრუნდები.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერუშკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com